

# ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ლეკორი

31 დეკემბერი 2024



# Contents

|                                                                   |    |
|-------------------------------------------------------------------|----|
| დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა                                   | 4  |
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება                                | 7  |
| მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება            | 8  |
| ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება                            | 10 |
| ახსნა-განმარტებითი შენიშვნები                                     | 11 |
| 1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია                        | 11 |
| 2 შედგენის საფუძველი                                              | 12 |
| 2.2 მომზადების საფუძველი                                          | 12 |
| 2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება                  | 12 |
| 3 ბუღალტრული აღრიცხვის არსებითი პოლიტიკები                        | 13 |
| 3.1 ზოგადი პირობები და “ფასს”-ების პირველადი გამოყენება           | 13 |
| 3.3 ძირითადი საშუალებები                                          | 13 |
| 3.4 არამატერიალური აქტივები                                       | 14 |
| 3.5 ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება | 14 |
| 3.6 იჯარა                                                         | 15 |
| 3.7 მარაგები                                                      | 16 |
| 3.8 ფინანსური ინსტრუმენტები                                       | 16 |
| 3.10 კაპიტალი                                                     | 19 |
| 3.11 ანარიცხები                                                   | 19 |
| 3.12 მოგების გადასახადი                                           | 19 |
| 3.13 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები                              | 19 |
| 3.14 შემოსავალი                                                   | 20 |
| 4 ძირითადი საშუალებები                                            | 21 |
| 5 აქტივების გამოყენების უფლება                                    | 22 |
| 6 მარაგები                                                        | 22 |
| 7 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                                      | 23 |
| 8 ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე                               | 24 |
| 9 კაპიტალი და რეზერვები                                           | 25 |
| 9.1 საწესდებო კაპიტალი                                            | 25 |
| 9.2 დივიდენდები                                                   | 25 |
| 10 იჯარები                                                        | 25 |
| 11 სესხები                                                        | 27 |
| 12 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები                                  | 28 |
| 13 შემოსავალი                                                     | 28 |
| 14 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება                          | 28 |
| 15 გაყიდვის და დისტრიბუციის ხარჯები                               | 29 |

|      |                                                                |    |
|------|----------------------------------------------------------------|----|
| 16   | ადმინისტრაციული ხარჯები                                        | 29 |
| 17   | ფინანსური შემოსავლები და ხარჯები                               | 29 |
| 18   | შემდგომი მოვლენები                                             | 29 |
| 19   | მნიშვნელოვანი ბუღალტრული დაშვებები და შეფასებები               | 30 |
| 19.1 | მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები                            | 30 |
| 19.2 | სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მსჯელობები | 30 |
| 20   | ფინანსური ინსტრუმენტები                                        | 31 |
| 20.1 | მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა                              | 31 |
| 20.2 | ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები                           | 31 |
| 21   | ფინანსური რისკის მართვა                                        | 31 |
| 22   | სამართლიანი ღირებულება                                         | 34 |
| 23   | კაპიტალის რისკის მართვა                                        | 34 |
| 24   | გაუთვალისწინებელი გარემოებები                                  | 34 |
| 24.1 | გადასახადები                                                   | 34 |
| 25   | დაკავშირებული მხარეები                                         | 35 |
| 25.1 | საკონტროლო ურთიერთობები                                        | 35 |
|      | მმართველობის ანგარიშგება                                       | 36 |

# დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ლეკორი“ ის დამფუძნებლებს

## შპს გრანტ თორნტონ

ს/ნ: 200136600

იურიდიული მისამართი:

საქართველო, თბილისი,

ისნის რაიონი,

ქეთევან წამებულის გამზირი, № 54

ტ.: + 995 322 604 406

## Grant Thornton LLC

I/N: 200136600

Legal address:

Georgia, Tbilisi, Isani district,

Ketevan Tsamebuli avenue, № 54

T.: + 995 322 604 406

## პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ლეკორი“-ის („კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“- ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

## პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად პირველად დავინიშნეთ 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის. შესაბამისად, ვერ დავაკვირდით მარაგების ინვენტარიზაციის პროცესს 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რადგან ეს თარიღები წინ უსწრებდა ჩვენს დანიშნას. ასევე, ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაბამისი აუდიტორული მტკიცებულებები საწყისი მარაგების სისწორეზე ალტერნატიული პროცედურებით. საწყისი მარაგები გავლენას ახდენს ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსაზღვრაზე, რის გამოც ვერ შევძელით დაგვედგინა, საჭირო იყო თუ არა კორექტირება რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაზე, წმინდა მოგებაზე და სხვა სრული შემოსავლისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

### *მმართველობის ანგარიშგება*

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების წარდგენაზე. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის შესახებ, რისკების ანალიზს, სამომავლო გეგმებს და სხვა ინფორმაციას ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მდგომარეობს იმაში, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა მმართველობის ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია და წარვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

ამასთან, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოგვეთხოვება მოსაზრების გამოთქმა იმის თაობაზე, „მმართველობის ანგარიშგების“ გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და აგრეთვე იმის დადგენა, „მმართველობის ანგარიშგება“ შეიცავს თუ არა ინფორმაციას რომელიც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- „მმართველობის ანგარიშგებაში“ იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად;
- „მმართველობის ანგარიშგება“ მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია შესაბამის მარეგულირებელ ნორმებთან.

### *ხელმძღვანელობისა და მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებებზე*

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

### *აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზედ, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიქმნას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალკე ან ერთობლივად, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებზე ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნევლობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნევლობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.
- ვერკვევით კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომპანიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.
- განვიხილავთ ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებით შენიშვნებს და ვადგენთ, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვქონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

შპს გრანტ თორნტონის სახელით


ვახტანგ ცაბაძე

მმართველი პარტნიორი

რეგისტრირებული აუდიტორი (რეგისტრაციის N - SARAS-A-774309)

თბილისი, საქართველო

11 აგვისტო 2025 წელი



# ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

| ლარი                              |          | 2024 წლის<br>31<br>დეკემბერი | 2023 წლის<br>31<br>დეკემბერი | 2023 წლის 1<br>იანვარი |
|-----------------------------------|----------|------------------------------|------------------------------|------------------------|
|                                   | შენიშვნა |                              |                              |                        |
| აქტივები                          |          |                              |                              |                        |
| გრძელვადიანი აქტივები             |          |                              |                              |                        |
| ძირითადი საშუალებები              | 4        | 833,489                      | 888,598                      | 834,606                |
| აქტივების გამოყენების უფლება      | 5        | 3,788,193                    | 4,101,319                    | 3,082,198              |
| არამატერიალური აქტივები           |          | 7,237                        | 10,111                       | 7,418                  |
| სულ გრძელვადიანი აქტივები         |          | 4,628,919                    | 5,000,028                    | 3,924,222              |
| მოკლევადიანი აქტივები             |          |                              |                              |                        |
| მარაგები                          | 6        | 8,583,116                    | 5,124,607                    | 3,992,598              |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები        | 7        | 2,080,036                    | 2,533,831                    | 2,291,559              |
| წინასწარ გადახდილი მოგების        |          | -                            | 64,415                       | 74,901                 |
| გადასახადი                        |          |                              |                              |                        |
| წინასწარ გადახდილი გადასახადები   |          | 150,025                      | -                            | -                      |
| გარდა მოგების გადასახადისა        |          |                              |                              |                        |
| ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე | 8        | 247,830                      | 1,038,191                    | 218,503                |
| სულ მოკლევადიანი აქტივები         |          | 11,061,007                   | 8,761,044                    | 6,577,561              |
| სულ აქტივები                      |          | 15,689,926                   | 13,761,072                   | 10,501,783             |
| კაპიტალი და ვალდებულებები         |          |                              |                              |                        |
| კაპიტალი და რეზერვები             | 9        |                              |                              |                        |
| საწესდებო კაპიტალი                | 9.1      | 200                          | 200                          | 200                    |
| აკუმულირებული მოგება/(ზარალი)     |          | 3,179,710                    | 6,205,726                    | 4,941,322              |
| სულ კაპიტალი                      |          | 3,179,910                    | 6,205,926                    | 4,941,522              |
| გრძელვადიანი ვალდებულებები        |          |                              |                              |                        |
| საიჯარო ვალდებულებები             | 10       | 2,824,767                    | 3,087,325                    | 2,325,896              |
| სულ გრძელვადიანი ვალდებულებები    |          | 2,824,767                    | 3,087,325                    | 2,325,896              |
| მიმდინარე ვალდებულებები           |          |                              |                              |                        |
| სესხები                           | 11       | 7,706,789                    | 2,623,454                    | 1,664,772              |
| საიჯარო ვალდებულებები             | 10       | 1,149,931                    | 898,645                      | 443,629                |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები     |          | 624,777                      | 689,578                      | 911,556                |
| საგადასახადო ვალდებულებები გარდა  |          | -                            | 256,144                      | 214,408                |
| მოგების გადასახადისა              |          |                              |                              |                        |
| გადასახდელი მოგების გადასახადი    |          | 203,752                      | -                            | -                      |
| სულ მიმდინარე ვალდებულებები       |          | 9,685,249                    | 4,467,821                    | 3,234,365              |
| სულ ვალდებულებები                 |          | 12,510,016                   | 7,555,146                    | 5,560,261              |
| სულ კაპიტალი და ვალდებულებები     |          | 15,689,926                   | 13,761,072                   | 10,501,783             |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 11 აგვისტოს:

|                 |                   |
|-----------------|-------------------|
| ზაზა ნატროშვილი | თამთა კერესელიძე  |
| დირექტორი       | მთავარი ბუღალტერი |

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (11-36 გვერდებზე) ერთად, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

# ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

| ლარი                              | 2024 წლის<br>31<br>დეკემბერი | 2023 წლის<br>31<br>დეკემბერი | 2023 წლის 1<br>იანვარი |
|-----------------------------------|------------------------------|------------------------------|------------------------|
| აქტივები                          |                              |                              |                        |
| გრძელვადიანი აქტივები             | 4                            | 833,489                      | 888,598                |
| ძირითადი საშუალებები              | 5                            | 3,788,193                    | 4,101,319              |
| აქტივების გამოყენების უფლება      |                              | 7,237                        | 10,111                 |
| არამატერიალური აქტივები           |                              | <u>4,628,919</u>             | <u>5,000,028</u>       |
| სულ გრძელვადიანი აქტივები         |                              |                              | <u>3,924,222</u>       |
| მოკლევადიანი აქტივები             |                              |                              |                        |
| მარაგები                          | 6                            | 8,583,116                    | 5,124,607              |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები        | 7                            | 2,080,036                    | 2,533,831              |
| წინასწარ გადახდილი მოგების        |                              | -                            | 64,415                 |
| გადასახადი                        |                              | 150,025                      | -                      |
| წინასწარ გადახდილი გადასახადები   |                              |                              | -                      |
| გარდა მოგების გადასახადისა        |                              |                              |                        |
| ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე | 8                            | 247,830                      | 1,038,191              |
| სულ მოკლევადიანი აქტივები         |                              | <u>11,061,007</u>            | <u>8,761,044</u>       |
|                                   |                              |                              | <u>218,503</u>         |
| სულ აქტივები                      |                              | <u>15,689,926</u>            | <u>13,761,072</u>      |
|                                   |                              |                              | <u>10,501,783</u>      |
| კაპიტალი და ვალდებულებები         |                              |                              |                        |
| კაპიტალი და რეზერვები             | 9                            |                              |                        |
| საწესდებო კაპიტალი                | 9.1                          | 200                          | 200                    |
| აკუმულირებული მოგება/(ზარალი)     |                              | 3,179,710                    | 6,205,726              |
| სულ კაპიტალი                      |                              | <u>3,179,910</u>             | <u>6,205,926</u>       |
|                                   |                              |                              | <u>4,941,322</u>       |
| გრძელვადიანი ვალდებულებები        |                              |                              |                        |
| საიჯარო ვალდებულებები             | 10                           | 2,824,767                    | 3,087,325              |
| სულ გრძელვადიანი ვალდებულებები    |                              | <u>2,824,767</u>             | <u>3,087,325</u>       |
|                                   |                              |                              | <u>2,325,896</u>       |
| მიმდინარე ვალდებულებები           |                              |                              |                        |
| სესხები                           | 11                           | 7,706,789                    | 2,623,454              |
| საიჯარო ვალდებულებები             | 10                           | 1,149,931                    | 898,645                |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები     |                              | 624,777                      | 689,578                |
| საგადასახადო ვალდებულებები გარდა  |                              | -                            | 256,144                |
| მოგების გადასახადისა              |                              |                              |                        |
| გადასახდელი მოგების გადასახადი    |                              | 203,752                      | -                      |
| სულ მიმდინარე ვალდებულებები       |                              | <u>9,685,249</u>             | <u>4,467,821</u>       |
|                                   |                              |                              | <u>3,234,365</u>       |
| სულ ვალდებულებები                 |                              | <u>12,510,016</u>            | <u>7,555,146</u>       |
|                                   |                              |                              | <u>5,560,261</u>       |
| სულ კაპიტალი და ვალდებულებები     |                              | <u>15,689,926</u>            | <u>13,761,072</u>      |
|                                   |                              |                              | <u>10,501,783</u>      |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 11 აგვისტოს:

ზაზა ნატროშვილი  
დირექტორი

თამთა კერესელიძე  
მთავარი ბუღალტერი

თ. კახიკაძე

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (11-36 გვერდებზე) ერთად, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

# მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

| ლარი                                           | შენიშვნა | 2024 წლის 31 დეკემბერი | 2023 წლის 31 დეკემბერი |
|------------------------------------------------|----------|------------------------|------------------------|
| შემოსავალი                                     | 13       | 11,347,448             | 12,440,218             |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება          | 14       | (5,628,911)            | (6,536,078)            |
| <b>მთლიანი მოგება</b>                          |          | <b>5,718,537</b>       | <b>5,904,140</b>       |
| გაყიდვის და მარკეტინგის ხარჯები                | 15       | (3,456,225)            | (3,009,320)            |
| ადმინისტრაციული ხარჯები                        | 16       | (1,339,512)            | (1,106,796)            |
| სხვა შემოსავალი                                |          | 137,197                | 41,796                 |
| სხვა ხარჯები                                   |          | (118,038)              | (44,784)               |
| <b>სულ საოპერაციო ხარჯები</b>                  |          | <b>(4,776,578)</b>     | <b>(4,119,104)</b>     |
| ფინანსური ხარჯები                              | 17       | (799,347)              | (445,638)              |
| ფინანსური შემოსავალი                           | 17       | 28,643                 | 4,240                  |
| მოგება/(ზარალი) საკუთრივ სხვაობიდან, ნეტი      |          | (299,104)              | (68,749)               |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>                      |          | <b>(127,849)</b>       | <b>1,274,889</b>       |
| მოგების გადასახადის ხარჯი/(ანაზღაურება)        |          | (268,167)              | (10,485)               |
| <b>წლის მოგება</b>                             |          | <b>(396,016)</b>       | <b>1,264,404</b>       |
| <b>წლის მთლიანი სხვა სრული მოგება/(ზარალი)</b> |          | <b>(396,016)</b>       | <b>1,264,404</b>       |

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (11-36 გვერდებზე) ერთად, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

# კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

| ღარი                          | საწესდებო<br>კაპიტალი | აკუმულირებული<br>მოგება/<br>(ზარალი) | სულ         |
|-------------------------------|-----------------------|--------------------------------------|-------------|
| 2023 წლის 1 იანვარი           | 200                   | 4,941,322                            | 4,941,522   |
| წლის მოგება                   | -                     | 1,264,404                            | 1,264,404   |
| წლის მთლიანი სრული შემოსავალი | -                     | 1,264,404                            | 1,264,404   |
| დივიდენდი                     | -                     | -                                    | -           |
| ოპერაციები მფლობელებთან       | -                     | -                                    | -           |
| 2023 წლის 31 დეკემბერი        | 200                   | 6,205,726                            | 6,205,926   |
| წლის ზარალი                   | -                     | (396,016)                            | (396,016)   |
| წლის მთლიანი სრული შემოსავალი | -                     | (396,016)                            | (396,016)   |
| დივიდენდი                     | -                     | (2,630,000)                          | (2,630,000) |
| ოპერაციები მფლობელებთან       | -                     | (2,630,000)                          | (2,630,000) |
| 2024 წლის 31 დეკემბერი        | 200                   | 3,179,710                            | 3,179,910   |

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (11-36 გვერდებზე) ერთად, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

# ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

| ლარი                                                                          | შენი<br>შვანა | 2024 წლის 31<br>დეკემბერი | 2023 წლის 31<br>დეკემბერი |
|-------------------------------------------------------------------------------|---------------|---------------------------|---------------------------|
| <b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>                               |               |                           |                           |
| წლის მოგება                                                                   |               | (396,017)                 | 1,264,405                 |
| <b>კორექტირებები:</b>                                                         |               |                           |                           |
| მოგების გადასახადის ხარჯი                                                     |               | 268,167                   | 10,485                    |
| ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი                                                  |               | 1,303,987                 | 975,344                   |
| გაუფასურების ზარალი/(მოგება) მოთხოვნებზე, ნეტი                                | 7             | 200,795                   | (29,345)                  |
| ფინანსური (შემოსავალი)/ხარჯი, ნეტი                                            | 17            | 770,704                   | 441,398                   |
| მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან, ნეტი                                      |               | 299,104                   | 68,749                    |
| <b>საოპერაციო შედეგი საოპერაციო კაპიტალში<br/>ცვლილებამდე</b>                 |               | <b>2,446,740</b>          | <b>2,731,036</b>          |
| <b>ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში</b>                                   |               |                           |                           |
| ცვლილება მარაგებში                                                            |               | 254,324                   | (213,097)                 |
| ცვლილება საგადასახადო ვალდებულებებში                                          |               | (3,458,510)               | (1,132,009)               |
| ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში                                       |               | (406,169)                 | 41,735                    |
| ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში                                       |               | (75,191)                  | (234,815)                 |
| <b>ფული საოპერაციო საქმიანობიდან</b>                                          |               | <b>(1,238,806)</b>        | <b>1,192,851</b>          |
| <b>გადახდილი პროცენტები</b>                                                   |               |                           |                           |
|                                                                               | 11            | (743,750)                 | (472,761)                 |
| <b>წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან</b>                                   |               | <b>(1,982,556)</b>        | <b>720,090</b>            |
| <b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>                             |               |                           |                           |
| ძირითადი საშუალებების და არამატერიალური<br>აქტივების შესაძენად გადახდილი ფული |               | (155,649)                 | (227,170)                 |
| ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფული                                |               | 2,854                     | -                         |
| მიღებული პროცენტი                                                             |               | 28,643                    | 4,240                     |
| <b>წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან</b>                                 |               | <b>(124,152)</b>          | <b>(222,930)</b>          |
| <b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>                                |               |                           |                           |
| საიჯარო ვალდებულების დაფარვა                                                  | 10            | (966,563)                 | (637,533)                 |
| სესხების აღება                                                                | 11            | 12,191,600                | 9,308,765                 |
| სესხების დაფარვა                                                              | 11            | (7,277,288)               | (8,364,607)               |
| გადახდილი დივიდენდები                                                         | 9.2           | (2,630,000)               | -                         |
| <b>წმინდა ფული საფინანსო საქმიანობიდან</b>                                    |               | <b>1,317,749</b>          | <b>306,625</b>            |
| <b>ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)</b>                               |               |                           |                           |
| საკურსო სხვაობის გავლენა ფულად სახსრებზე                                      |               | (788,959)                 | 803,785                   |
| ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში                                           |               | (1,402)                   | 15,903                    |
| ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში                                           | 8             | 1,038,191                 | 218,503                   |
| <b>ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს</b>                                         | <b>8</b>      | <b>247,830</b>            | <b>1,038,191</b>          |

ფულადი ნაკადების ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (11-36 გვერდებზე) ერთად, რომლებიც წარმოადგენენ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

# ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

## 1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს „ლევორი“ (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა საქართველოში 2006 წლის 13 ივლისის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით: 202345426. კომპანიის რეგისტრირებული მისამართი და ძირითადი საოპერაციო ოფისი მდებარეობს დავით ჯაბიძის ქუჩა №15-ში, გლდანის-ნაძალადევის რაიონში, თბილისი, საქართველო.

აქციონერთა სტრუქტურა შემდეგნაირია:

| აქციონერები          | 2024 წლის 31<br>დეკემბერი | 2023 წლის 31<br>დეკემბერი |
|----------------------|---------------------------|---------------------------|
| გიორგი კვიჩინაძე     | 5%                        | 5%                        |
| საბა კვიჩინაძე       | 5%                        | 5%                        |
| ლევან კვიჩინაძე      | 40%                       | 35%                       |
| შპს "ვივიდა"         | 50%                       | 0%                        |
| შპს "ჯიდიმი"         | -                         | 45%                       |
| სხვა ფიზიკური პირები | -                         | 10%                       |
|                      | 100%                      | 100%                      |

შპს „ლევორი“ საქმიანობს მინის ნაწარმის, ფაიფურის პროდუქციის, სამზარეულოს აქსესუარებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების საბითუმო და საცალო ვაჭრობაში. ასევე, კომპანია ახორციელებს სხვადასხვა სახის სათამაშოების და ბავშვთა პროდუქციის იმპორტსა და დისტრიბუციას. იგი საქართველოს ბაზარზე პოზიციონირებს როგორც დისტრიბუტორად, ასევე საცალო მომხმარებლისთვის განკუთვნილი პროდუქციის გამყიდველად.

კომპანია საქართველოში ოპერირებს სპეციალიზებული სამზარეულოს ნივთების უმსხვილეს საცალო ქსელის ბრენდების „Wilmax Home“ და „Levori“ სახელით. გარდა ამისა, კომპანიას ეკუთვნის სათამაშოების სპეციალიზებული მაღაზია „KIDO“.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია ფუნქციონირებდა 6 საცალო მაღაზიით და 4 საწყობით (2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 5 საცალო მაღაზია და 3 საწყობი).

თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა კომპანიის მთლიან ჭრილში 2024 წელს არის 87 თანამშრომელი. (2023 წელი: 90 თანამშრომელი).

### ბიზნეს გარემო

საქართველო ავლენს განვითარებადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს, მათ შორის შედარებით მაღალ ინფლაციას და მაღალ საპროცენტო განაკვეთებს. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება სხვადასხვა ინტერპრეტაციას და ხშირ ცვლილებებს.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება დიდწილად დამოკიდებულია მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული პოლიტიკის ეფექტურობაზე, საგადასახადო, სასამართლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ მოვლენებთან ერთად.

მენეჯმენტს არ შეუძლია იწინასწარმეტყველოს ყველა ის მოვლენა, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ბიზნეს სექტორსა და უფრო ფართო ეკონომიკაზე და შესაბამისად, რა გავლენა შეიძლება მოახდინოს მათ კომპანიის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ის იღებს ყველა საჭირო ზომას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

## 2 შედეგის საფუძველი

### 2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასსს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ კომპანია საქმიანობას აწარმოებს უწყვეტად ფუნქციონირებდი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

### 2.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა დარიცხვის მეთოდსა და ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტისა, რომლებიც ასახულია მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელი (დისკოტირებული) ღირებულებით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულების შეფასების დეტალები მოცემულია განმარტებით შენიშვნებში.

### 2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის საოპერაციო ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რადგან კომპანიის მენეჯმენტს სჯერა, რომ ლარში წარდგენილი ანგარიშგება ყველაზე მეტად სასარგებლოა ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

### 2.4 შეფასების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებსა და ხარჯებზე.

კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობები გამოყენებულია, ან სადაც მენეჯმენტის მიერ გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია შენიშვნა 19.2.-ში

### 2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

რადგან ეს არის კომპანიის პირველი IFRS ფინანსური ანგარიშგება, კომპანიამ მიიღო ყველა ახალი და გადასინჯული სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომელიც გამოქვეყნებულია ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტირების საერთაშორისო კომიტეტის მიერ, რომელიც შეესაბამება კომპანიის საქმიანობას და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარიდან დაწყებული წლიური ანგარიშგების პერიოდისათვის.

**სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები არსებულ სტანდარტებზე, რომლებიც ჯერ არ არის ეფექტური და ჯერ არ მიუღია კომპანიას**

ამ ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის, ბასსს-ის მიერ, გამოქვეყნებული იყო გარკვეული ახალი სტანდარტები, არსებული სტანდარტების შესწორებები და ინტერპრეტაციები, მაგრამ ჯერჯერობით ისინი არ არის ეფექტური და კომპანიას ისინი ჯერ არ მიუღია.

ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ ყველა შესაბამისი განცხადება მიიღება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში პირველივე პერიოდისათვის, რომელიც იწყება გამოცხადების ძალაში შესვლის თარიღიდან ან მას შემდეგ.

ხელმძღვანელობა არ ელის მნიშვნელოვან გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე არსებული სტანდარტებიდან და შესწორებებიდან; ისინი წარმოდგენილია ქვემოთ:

| სტანდარტი | სტანდარტის ან ინტერპრეტაციის დასახელება, რომელიც ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ დაწყებული საანგარიშო პერიოდებისთვის. |
|-----------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| ბასს 1    | გაცვლის შეუძლებლობა (ცვლილებები ბასს 21-ში)                                                                                            |
| ბასს 1    | ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია და შეფასება (ცვლილებები ფასს 9-სა და 7-ში)                                                       |
| ფასს 18   | წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში                                                                             |
| ფასს 19   | შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: განმარტებითი შენიშვნები                                                        |

### 3 ბუღალტრული აღრიცხვის არსებითი პოლიტიკები

#### 3.1 ზოგადი პირობები და “ფასს”-ების პირველადი გამოყენება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („IFRS“) შესაბამისად, რომლებიც ძალაში იყო 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. სააღრიცხვო პოლიტიკის კონცეფციები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თითოეულ პერიოდზე.

კომპანია დაარსდა 2006 წლის 13 ივლისს. კომპანიას არ მოუზადებია და არ წარუდგენია ფინანსური ანგარიშგება 2006 წლის 13 ივლისიდან 2023 წლის 1 იანვრამდე პერიოდისთვის და შესაბამისად, ეს ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის მიერ მომზადებულ და საჯაროდ წარდგენილ ფინანსური ანგარიშგების პირველ ნაკრებს, სადაც კომპანიამ ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოიყენა ფასს 1 „საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების პირველად გამოყენება“.

კომპანიამ გამოიყენა ერთი და იგივე სააღრიცხვო პოლიტიკა ანგარიშგებაში წარმოდგენილი ყველა პერიოდისთვის.

რადგან ეს არის კომპანიის პირველი გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგება, წინა პერიოდებში კორექტირებები საჭირო არ იყო და ფასს-ების მიღებისთვის მისი გამჟღავნება არ არის რელევანტური.

იხილეთ შენიშვნა 2.5 ცვლილებების და ინტერპრეტაციებისთვის არსებულ სტანდარტებზე, რომლებიც ჯერ არ არის ეფექტური და ჯერ არ მიუღია კომპანიას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკები წარმოდგენილია ქვემოთ.

#### 3.2 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2024 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.8068 ლარს და ერთი ევრო შეადგენს 2.9306 ლარს (2023 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.6894 ლარი და ერთი ევრო 2.9753 ლარი). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

#### 3.3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარდგენილია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემცირებული თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საიმპორტო გადასახადებს, სხვა არადაბრუნებად გადასახადებსა და შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ სხვა ხარჯებს. როცა ძირითადი საშუალება შედგება რამოდენიმე არსებითი

კომპონენტისაგან, რომლებსაც სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, მაშინ ასეთი კომპონენტები აღირიცხებიან ცალკე-ცალკე ძირითად საშუალებებად.

აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან მიღებული მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოადგენს სხვაობას მიღებული ანაზღაურების ღირებულებასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ცალკე ერთეულად აღრიცხული ძირითადი საშუალების კომპონენტის ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულების შესაბამისად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის აქტივის რემონტის დანახარჯები, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი გაწვევითანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის გამოყენებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. აქტივების სასიცოცხლო პერიოდები ჯგუფების მიხედვით შემდგენილია:

|                                     |           |
|-------------------------------------|-----------|
| შენობები                            | - 20 წელი |
| სატრანსპორტო საშუალებები            | - 7 წელი  |
| ავეჯი და ინვენტარი                  | - 5 წელი  |
| ოფისის აღჭურვილობა                  | - 5 წელი  |
| იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა | - 5 წელი  |
| დანადგარები                         | - 5 წელი  |

### 3.4 არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა, წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება/ზარალზე წრფივი მეთოდის გამოყენებით. სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება 15%-იანი განაკვეთით.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება განკარგვისთანავე ან, როდესაც აქტივის გამოყენების ან განკარგვის შედეგად მოსალოდნელი არ არის რაიმე მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოტანა. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც სხვაობა გაყიდვების შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

### 3.5 ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

აქტივები, რომლებსაც აქვთ განუსაზღვრელი სასარგებლო ვადა, არ ექვემდებარება ამორტიზაციას და ყოველწლიურად შემოწმდება გაუფასურებაზე. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება ამორტიზაციას, გადაიხედება გაუფასურებაზე, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილება მიუთითებს იმაზე, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი თანხა არის უდიდესი წმინდა გასაყიდი ფასისა და გამოყენების ღირებულებას შორის. თუ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალი აღიარებულია ხარჯად დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაბამისი აქტივი არ არის აღრიცხული გადაფასებული ოდენობით, ამ შემთხვევაში გაუფასურების ზარალი განიხილება, როგორც გადაფასების შემცირება.

როცა გაუფასურების ზარალის ანუღირება ხდება, აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდის გაუფასურების არარსებობის შემთხვევაში. გაუფასურების ანუღირება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, თუ ეს

აქტივი არ აღირიცხება გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის ანუღირება განისაზღვრება როგორც გადაფასების ზრდა.

### 3.6 იჯარა

#### კომპანია როგორც მოიჯარე

კომპანია იყენებს იჯარის შეთანხმებებს ძირითადად სავაჭრო მაღაზიების და საწყობების უზრუნველსაყოფად. კომპანია არ აფორმებს გაყიდვისა და იჯარის შეთანხმებებს. ყველა იჯარაზე მოლაპარაკება ხდება ინდივიდუალურად.

კომპანია აფასებს ხელშეკრულება არის ან თუ შეიცავს იჯარას კონტრაქტის დასაწყისში. იჯარა გულისხმობს უფლებას გამოიყენოს და მოიპოვოს იდენტიფიცირებული აქტივის არსებითად ყველა ეკონომიკური სარგებელი გარკვეული პერიოდის განმავლობაში ანაზღაურების სანაცვლოდ.

#### მოიჯარის მიერ იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის დაწყების თარიღისათვის კომპანია აღიარებს აქტივებს სარგებლობის უფლებით და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. აქტივით სარგებლობის უფლება განისაზღვრება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას, კომპანიის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, იჯარის ბოლოს აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციისთვის გასაწევ ხარჯებსა და იჯარის დაწყების თარიღისთვის გადახდილ ავანსებს (ყველა მიღებული წამახალისებელი გადახდების გამოკლებით).

კომპანია სარგებლობის უფლებით ფლობილი აქტივებისთვის იყენებს ცვეთის წრფივ მეთოდს იჯარის წამოწყების თარიღიდან, შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღს შორის. კომპანია ასევე აფასებს აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურებას, როდესაც ასეთი ინდიკატორი არსებობს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება, ან გამოიყენოს მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი.

საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით და უფლებებით წარმოშობილ გადახდებს, რომლებსაც თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ გამოიყენებენ.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეამციროს განხორციელებული საიჯარო გადახდებით და გაზარდოს პროცენტის დარიცხვით. იჯარის შეფასება ხდება ხელახლა, რათა აისახოს ხელახალი შეფასებები, ან იჯარის მოდიფიკაციები, ან ცვლილებები არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდებში.

საიჯარო ვალდებულების გადაფასების შემდეგ, შესაბამისი კორექტირება აისახება აქტივის გამოყენების უფლებაზე, ან მოგება/ზარალზე, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე.

კომპანიამ აირჩია აღრიცხოს მოკლევადიანი იჯარა და დაბალი ღირებულების მქონე იჯარა როგორც საოპერაციო იჯარა. აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების აღიარების ნაცვლად, იჯარასთან დაკავშირებული გადახდები აღიარდება ხარჯად მოგება/ზარალში წრფივი მეთოდით, იჯარის პერიოდის განმავლობაში.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივების გამოყენების უფლება წარმოდგენილია განცალკავებით, ისევე როგორც საიჯარო ვალდებულება წარდგენილია ცალკე.

#### კომპანია როგორც მეიჯარე

როგორც მეიჯარე, კომპანია ახდენს თავისი იჯარის კლასიფიცირებას საოპერაციო და ფინანსურ იჯარად.

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი გულისხმობს საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემას, წინააღმდეგ შემთხვევაში კი კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად.

### 3.7 მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები არის აქტივები რომლებიც განკუთვნილია მომხმარებელზე გასაყიდად, წარმოების პროცესში გამოსაყენებლად ან მომხმარებლისთვის მომსახურების გასაწევად. სასაქონლო მატერიალური მარაგები ასევე მოიცავს სათადარიგო ნაწილებს, სარეზერვო ტექნიკასა და მომსახურების გასაწევ ტექნიკას თუ ისინი არ შეესაბამებიან ძირითადი საშუალებების განმარტებას.

სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სავარაუდო გასაყიდი ფასია. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ჰრინციბის მეთოდით და მოიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის ადგილზე მიტანასთან.

საქონლის მომწოდებლები კომპანიას უზრუნველყოფენ ბონუსებით. მომწოდებლებისგან მიღებული ბონუსები, წინასწარ განსაზღვრულ გაყიდვებთან დაკავშირებული რაოდენობრივი საზომების დაკმაყოფილებისთვის, პირდაპირ გამოიქვითება გაყიდვების ღირებულებიდან.

### 3.8 ფინანსური ინსტრუმენტები

#### ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

#### ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და თავდაპირველი შეფასება

იმ სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და შეფასებულია გარიგების ფასად ფასს 15-ის მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული გარიგების დანახარჯებით (სადაც შესაბამისია).

აღიარების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის ფინანსური აქტივები გარდა ჰეჯირების ინსტრუმენტებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ამორტიზებული ღირებულება
- რეალური ღირებულების მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)
- რეალური ღირებულება ცვლილების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI).

წარმოდგენილ პერიოდში კომპანიას არ აქვს ფინანსური აქტივების კატეგორია FVOCI.

კლასიფიკაცია განისაზღვრება ორივე შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით:

- კომპანიის ბიზნეს მოდელი ფინანსური აქტივის მართვისთვის;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წარმოდგენილია ფინანსურ ხარჯებში, ფინანსურ შემოსავალში ან სხვა ფინანსურ მუხლებში, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა, რომლებიც წარმოდგენილია სხვა ხარჯებში. კომპანიის ფინანსური აქტივები კატეგორიების მიხედვით მოცემულია შენიშვნაში 20.2.-ში.

## ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

### ფინანსური აქტივების ამორტიზებული ღირებულებით შეფასება

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს (და არ არის განსაზღვრული როგორც FVTPL):

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელმწიკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;
- ფინანსური აქტივის სახელმწიკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას;

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარების შემდგომ შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დისკონტირება უგულებელყოფილია, სადაც დისკონტირებას არამატერიალური ეფექტი აქვს. კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და უმეტესი სხვა მოთხოვნები ფინანსური ინსტრუმენტების ამ კატეგორიას მიეკუთვნება, ისევე როგორც ობლიგაციები, რომლებიც თავდაპირველად კლასიფიცირებული იყვნენ როგორც დაფარვის ვადამდე ფლობილნი ბასს 39-ის მიხედვით.

### ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგება/ზარალში (FVTPL)

ფინანსური აქტივები, რომლებსაც კომპანია ფლობს სხვა ბიზნესში, გარდა აქტივებისა, რომლებიც "ფლობის" ან "ფლობის და გაყიდვის" მიზნებისთვისაა ფლობილი, აისახება მოგება/ზარალში რეალური ღირებულებით. განურჩევლად ბიზნეს მოდელისა, ფინანსური აქტივები, რომელთა სახელმწიკრულებო ფულადი ნაკადები არ არის მხოლოდ ძირისა და პროცენტის გადახდები, აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება/ზარალში (FVTPL). ყველა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი მიეკუთვნება ამ კატეგორიას, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც გათვალისწინებულია და ეფექტურია, როგორც ჰეჯირების ინსტრუმენტები, რომელთათვისაც გამოიყენება ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნები.

### ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9-ის მოთხოვნები იყენებს უფრო მეტად საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისას – „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მოდელი“. ეს ანაცვლავს ბასს 39-ის „განცდილი ზარალის მოდელს“. ახალ განსაზღვრებაში მოქცეული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სესხებს და სხვა სავალო ტიპის ფინანსურ აქტივებს შეფასებულს ამორტიზებული ღირებულებით და რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, სავაჭრო მოთხოვნებს, სახელმწიკრულებო აქტივებს, რემლებიც აღიარებული და შეფასებულია ფასს 15-ის მიხედვით და სესხის გაცემის ვალდებულებას და ზოგიერთი ფინანსური გარანტიის ხელმწიკრულებებს (ემიტენტისთვის), რომლებიც არ არიან შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საკრედიტო ზარალის აღიარება აღარ არის დამოკიდებული კომპანიის საკრედიტო ზარალის პირველად აღმოჩენის შემთხვევაზე. ამის მაგივრად კომპანია განიხილავს უფრო ფართო არეალის ინფორმაციას, როდესაც აფასებს საკრედიტო რისკს და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ეს ინფორმაცია მოიცავს, წარსულ შემთხვევებს, მიმდინარე პირობებს, მართებულ და მისაღებ პროგნოზს, რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელ შეგროვებადობაზე.

ამ საპროგნოზო მიდგომის დანერგვისას, გამიჯვნა ხდება:

- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საკრედიტო ზარალის მიხედვით საგრძნობლად არ გაუარესებულა საწყისი აღიარების შემდგომ ან აქვს დაბალი საკრედიტო რისკი (დონე 1), და
- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საგრძნობლად გაუარესდნენ კრედიტის ზარალის მიხედვით საწყისი აღიარების შემდგომ და მათი საკრედიტო რისკი არ არის დაბალი (დონე 2)
- დონე 3 მოიცავს ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც აქვს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება საანგარიშგებო თარიღისთვის.

„12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ აღიარებულია პირველი კატეგორიით, ხოლო „არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ მეორე კატეგორიით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება განსაზღვრულია ალბათობებით შეწონილი საკრედიტო ზარალის შეფასებით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

### სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანგარიშგების დროს ასევე სახელშეკრულებო აქტივების შემთხვევაშიც და აღრიცხავს ზარალის რეზერვის თანხას, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალად. ეს არის მოსალოდნელი დეფიციტი სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში, რომელიც ითვლისწინებს პოტენციურ ვალდებულების შეუსრულებლობას ფინანსური აქტივის არსებობისას ნებისმიერ დროს. ანგარიშის დროს, კომპანია იყენებს თავის ისტორიულ გამოცდილებას, გარე ფაქტორებს და საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანგარიშის დროს.

კომპანია მოთხოვნების გაუფასურებას აფასებს კოლექტიურ საფუძველზე რადგანაც ისინი ფლობენ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებს და დაჯგუფებულები არიან გადაცილებული ვადის მიხედვით.

იხილეთ შენიშვნა 21.b) დეტალური ანალიზისთვის იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყენება ფასს- 9-ის მიხედვით ზარალის გაუფასურების მოთხოვნები.

#### ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში, ფულს საბანკო ანგარიშებზე და ფულს გზაში.

#### ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებსა და ფინანსური იჯარის ვალდებულებებს. შეჯამება კომპანიის ფინანსური ვალდებულებების შესახებ, კატეგორიების მიხედვით მოცემულია შენიშვნა 20.2.

#### სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გამოკლებული სესხთან დაკავშირებული გაცემის ხარჯები. სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხი აღებულია მფლობელისგან. ასეთ შემთხვევაში, ეს სხვაობა აისახება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ნებისმიერი თვითღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის სხვაობის ასახვით მოგება/ზარალში, სესხების პერიოდის განმავლობაში ეფექტური პროცენტის საფუძველზე. პროცენტები და სხვა ხარჯები, რომლებიც გაწეულია სესხებზე, მიეკუთვნება ფინანსურ ხარჯებს, გარდა იმ სესხის ხარჯებისა, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება შესყიდვებს, მშენებლობას, ან განსაზღვრული აქტივის შექმნას. ასეთი ხარჯები პირდაპირ აქტივის თვითღირებულებაზე კაპიტალიზირდება.

#### ფინანსური საიჯარო ვალდებულებები

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანიამ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, ან ზღვრული სასესხო განაკვეთით.

საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს: ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც თავდაპირველად შეფასებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ინდექსის, ან განაკვეთის გამოყენებით, თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით; გადახდებს, რომელიც წარმოიქმნება არჩევანის უფლებიდან რომლებიც გონივრულად განსაზღვრადილებელია.

პირველადი შეფასების შემდგომ, ვალდებულება შემცირდება გადახდებით და გაიზრდება დარიცხული პროცენტებით. შემდგომ შეფასებებში ხდება გადაფასებებისა და მოდიფიკაციების, ან ფიქსირებულ გადახდებში მომხდარი არსებითი ცვლილებების ასახვა.

#### სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო შემდგომში წარმოდგენილია ამორტიზებული ღირებულებით.

### 3.9 ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში, ფულს საბანკო ანგარიშებზე და ფულს გზაში.

### 3.10 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებები კომპანიის წესდებებში (მათ შორის საწესდებო კაპიტალში, საკუთრებაში და ა.შ.) ხორციელდება კომპანიის მფლობელების მიერ. ავტორიზებული კაპიტალი აღიარებულია როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის მთლიან კაპიტალში იმ მოცულობით, რა მოცულობითაც იგი მფლობელებმა შეიტანეს.

დაგროვილი მოგება/ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების გაუნაწილებელ მოგებას ან აკუმულირებულ ზარალს.

დივიდენდები ვალდებულებად აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდება.

ტრანზაქციები მფლობელებთან წარმოდგენილია კაპიტალში განცალკავებით.

### 3.11 ანარიცხები

ანარიცხი აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როდესაც კომპანიას აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენის შედეგად, და სავარაუდოა, რომ ვალდებულებების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის გადინება. თუ ეფექტი მატერიალურია, ანარიცხები განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულებით საგადასახადო განაკვეთის საფუძველზე, რაც ასახავს ფულის დროში ღირებულებას და სადაც შესაფერისია, ვალდებულებასთან დაკავშირებულ სპეციალურ რისკებს.

### 3.12 მოგების გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება/(ჩათვლა) დასაბეგრ წლიურ შემოსავალზე, ანგარიშგების თარიღისთვის ან მანამდე არსებული საპროცენტო განაკვეთით და გასული წლის საგადასახადო ვალდებულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი კორექტირებით.

საქართველოში მოქმედი დაბეგრის მოდელი, რომელიც მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან ("მოგების გადასახადის ესტონური მოდელი") გულისხმობს კორპორატიული გადასახადის ნულოვან განაკვეთს გაუნაწილებელ მოგებაზე და 15%-იან კორპორატიულ გადასახადის განაკვეთს განაწილებულ მოგებაზე. შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იხდიან კორპორაციულ საშემოსავლო გადასახადს მოგების განაწილებაზე (მოგება, რომელიც ნაწილდება აქციონერებზე დივიდენდების სახით) და ცალკეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს შემოსავლის არაპირდაპირ განაწილებად (სარგებელი, საჩუქრები, გადახდები, ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და ა.შ.).

მოგების გადასახადი, რომელიც წარმოიშობა მოგების დივიდენდების სახით განაწილებისას ხარჯად აღიარდება დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად დივიდენდების ფაქტობრივი გადახდის თარიღისა. ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება.

### 3.13 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას, მოიცავს:

- (a) ხელფასებს, ანაზღაურებებსა და პრემიებს;
- (b) წლიურ ფასიან შვებულებებსა და ბიულეტენის ანაზღაურებებს.

თუ დაქირავებულმა პირმა რომელიმე სააღრიცხვო პერიოდში საწარმოს გაუწია მომსახურება, დაქირავებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული ოდენობა, რომელიც გადასახდელია ამ მომსახურებისთვის, საწარმომ უნდა აღიაროს:

- (a) როგორც ვალდებულება (დარიცხული ხარჯი) ნებისმიერი, უკვე გადახდილი თანხის გამოკლების შემდეგ. თუ უკვე გადახდილი თანხა აღემატება გასამრჯელოს არადისკონტირებულ ღირებულებას, ნამეტი თანხა უნდა აღიარდეს აქტივად (წინასწარ გაწეულ ხარჯად) იმ ოდენობით, რა ოდენობითაც წინასწარ გადახდა უზრუნველყოფს მომავალში გადასახდელების შემცირებას ან ფულადი სახსრების უკან დაბრუნებას.
- (b) როგორც ხარჯი, თუკი მისი ოდენობა არ არის ჩართული აქტივის თვითღირებულებაში.

### პრემიები

გადასახდელი პრემიების მოსალოდნელი ხარჯი აღიარდება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ წარსული მოვლენის შედეგად კომპანიას აქვს ზემოაღნიშნული გასამრჯელოების გადახდის მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

მიმდინარე ვალდებულება მხოლოდ მაშინ არსებობს, როდესაც საწარმოს არა აქვს სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა იმისა, რომ გადაიხადოს ეს გასამრჯელოები.

### 3.14 შემოსავალი

კომპანიის შემოსავალი წარმოიქმნება საქონლის რეალიზაციიდან.

იმისათვის, რომ შემოსავალი იქნეს აღიარებული კომპანიამ უნდა შეასრულოს ხუთ-საფეხურიანი პროცესი:

1. მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიკაცია
2. შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიკაცია
3. გარიგების ფასის განსაზღვრა
4. გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებაზე
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც ნაკისრი ვალდებულება შესრულდება.

შემოსავლების აღიარება ხდება იმ დროს ან დროის განმავლობაში, როდესაც (ან როგორც) კომპანია დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემით.

შემოსავალი მიღებულია სამზარეულოს ნივთების, სამზარეულოს ტექნიკისა და სათამაშოების გაყიდვიდან. შემოსავალი აღიარებულია იმ მომენტში, როდესაც საქონელზე კონტროლი გადადის მომხმარებელზე, რაც, ზოგადად, ხდება საქონლის მიწოდებისას. ამ ეტაპზე შესასრულებელი ვალდებულება ითვლება შესრულებულად.

შემოსავალი იზომება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას, გამოკლებული სავაჭრო ფასდაკლებები, მოცულობითი ბონუსები და სხვა სტიმულები.

კომპანია გარკვეულ მომხმარებელთან დებს ხელშეკრულებებს, რომლებიც მოიცავს ქეშბექის შეთანხმებებს. ამ შემთხვევაში, მომხმარებელს ეკუთვნის ქეშბექი, რომელიც გამოითვლება ყოველთვიური ფაქტობრივი შესყიდვების ფიქსირებულ პროცენტით. ქეშბექის პროცენტული მაჩვენებლები წინასწარ არის შეთანხმებული ხელშეკრულებით და არ იცვლება მისი მოქმედების პერიოდში.

ფასს 15-ის შესაბამისად, ასეთი ქეშბექები ითვლება ცვალებად ანაზღაურებად. თუმცა, რადგან ქეშბექის ოდენობა ანგარიშდება თვის ბოლოს ფაქტობრივ გაყიდვებზე დაყრდნობით, არ არსებობს მნიშვნელოვანი შეფასებითი გაურკვევლობა. ქეშბექი აღიარებულია როგორც შემოსავლის შემცირება იმავე საანგარიშო პერიოდში, რომელშიც ხდება შესაბამისი გაყიდვები.

4 ძირითადი საშუალებები

| ლარი                              | იჯარით<br>აღებული<br>ქონების<br>კეთილმოწყობა | შენობები | ავტო და<br>ინვენტარი | ოფისის<br>აღჭურვილობა | მანქანა<br>დანადგარები | სატრანსპორტო<br>საშუალებები | სულ       |
|-----------------------------------|----------------------------------------------|----------|----------------------|-----------------------|------------------------|-----------------------------|-----------|
| თვითღირებულება                    |                                              |          |                      |                       |                        |                             |           |
| 2023 წლის 1 იანვარი               | 262,713                                      | 319,725  | 256,216              | 79,896                | 1,471                  | 45,594                      | 965,615   |
| შემოსვლა                          | 127,588                                      | -        | 47,867               | 46,435                | -                      | -                           | 221,890   |
| 2023 წლის 31 დეკემბერი            | 390,301                                      | 319,725  | 304,083              | 126,331               | 1,471                  | 45,594                      | 1,187,505 |
| შემოსვლა                          | -                                            | -        | 12,427               | 143,222               | -                      | -                           | 155,649   |
| გასვლა                            | -                                            | -        | -                    | -                     | -                      | (3,022)                     | (3,022)   |
| 2024 წლის 31 დეკემბერი            | 390,301                                      | 319,725  | 316,510              | 269,553               | 1,471                  | 42,572                      | 1,340,132 |
| დაგროვილი ცვეთა და<br>გაუფასურება |                                              |          |                      |                       |                        |                             |           |
| 2023 წლის 1 იანვარი               | 50,138                                       | 10,048   | 49,338               | 13,885                | -                      | 7,599                       | 131,008   |
| წლის ცვეთა                        | 56,796                                       | 32,497   | 52,967               | 18,831                | 294                    | 6,514                       | 167,899   |
| 2023 წლის 31 დეკემბერი            | 106,934                                      | 42,545   | 102,305              | 32,716                | 294                    | 14,113                      | 298,907   |
| წლის ცვეთა                        | 78,060                                       | 32,497   | 65,711               | 24,782                | 340                    | 6,514                       | 207,904   |
| გასვლის შედეგად ელიმინირება       | -                                            | -        | -                    | -                     | -                      | (168)                       | (168)     |
| 2024 წლის 31 დეკემბერი            | 184,994                                      | 75,042   | 168,016              | 57,498                | 634                    | 20,459                      | 506,643   |
| საბალანსო ღირებულება              |                                              |          |                      |                       |                        |                             |           |
| 2023 წლის 31 დეკემბერი            | 283,367                                      | 277,180  | 201,778              | 93,615                | 1,177                  | 31,481                      | 888,598   |
| 2024 წლის 31 დეკემბერი            | 205,307                                      | 244,683  | 148,494              | 212,055               | 837                    | 22,113                      | 833,489   |

კომპანიის მლიანი მოძრავი ძირითადი საშუალებები გამოყენებულია კომპანიის სესხების უზრუნველყოფის მიზნებისთვის.

ცვეთის ხარჯი აღიარებული წლის მოგება-ზარალში განაწილებულია შემდეგნაირად:

| ლარი                                     | 2024 წლის 31<br>დეკემბერი | 2023 წლის 31<br>დეკემბერი |
|------------------------------------------|---------------------------|---------------------------|
| ადმინისტრაციული ცვეთის ხარჯი             | 199,594                   | 159,613                   |
| დისტრიბუციის და მარკეტინგის ცვეთის ხარჯი | 8,310                     | 8,286                     |
|                                          | <b>207,904</b>            | <b>167,899</b>            |

## 5 აქტივების გამოყენების უფლება

| ლარი                                 | მაღაზიები და<br>საწყობები |
|--------------------------------------|---------------------------|
| <i>თვითღირებულება</i>                |                           |
| <b>2023 წლის 1 იანვარი</b>           | <b>3,809,090</b>          |
| შემოსვლა - ახალი საიჯარო კონტრაქტები | 1,823,980                 |
| <b>2023 წლის 31 დეკემბერი</b>        | <b>5,633,070</b>          |
| შემოსვლა - ახალი საიჯარო კონტრაქტები | 780,084                   |
| <b>2024 წლის 31 დეკემბერი</b>        | <b>6,413,154</b>          |
| <i>დაგროვილი ამორტიზაცია</i>         |                           |
| <b>2023 წლის 1 იანვარი</b>           | <b>726,892</b>            |
| წლის ცვეთა                           | 804,859                   |
| <b>2023 წლის 31 დეკემბერი</b>        | <b>1,531,751</b>          |
| წლის ცვეთა                           | 1,093,210                 |
| <b>2024 წლის 31 დეკემბერი</b>        | <b>2,624,961</b>          |
| <i>საბალანსო ღირებულება</i>          |                           |
| <b>2023 წლის 31 დეკემბერი</b>        | <b>4,101,319</b>          |
| <b>2024 წლის 31 დეკემბერი</b>        | <b>3,788,193</b>          |

ცვეთის ხარჯი განაწილებულია შემდეგნაირად:

| ლარი                                  | 2024 წლის 31<br>დეკემბერი | 2023 წლის 31<br>დეკემბერი |
|---------------------------------------|---------------------------|---------------------------|
| დისტრიბუციის ხარჯები (იხ. შენიშვნა15) | 1,093,210                 | 804,859                   |

## 6 მარაგები

| ლარი           | 2024 წლის 31<br>დეკემბერი | 2023 წლის 31<br>დეკემბერი |
|----------------|---------------------------|---------------------------|
| საქონელი       | 8,460,870                 | 4,248,096                 |
| საქონელი გზაში | 119,792                   | 874,460                   |
| სხვა მარაგები  | 2,454                     | 2,051                     |
|                | <b>8,583,116</b>          | <b>5,124,607</b>          |

კომპანიის მთლიანი მარაგები გამოყენებულია მხარის სესხების უზრუნველსაყოფად.

## 7 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

| ლარი                                | 2024 წლის 31<br>დეკემბერი | 2023 წლის 31<br>დეკემბერი |
|-------------------------------------|---------------------------|---------------------------|
| ფინანსური აქტივები                  |                           |                           |
| სავაჭრო მოთხოვნები                  | 2,591,327                 | 2,891,932                 |
| სხვა მოთხოვნები                     | 19,917                    | 175                       |
|                                     | <b>2,611,244</b>          | <b>2,892,107</b>          |
| მინუს: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი | (764,775)                 | (563,981)                 |
|                                     | <b>1,846,469</b>          | <b>2,328,126</b>          |
| არაფინანსური აქტივები               |                           |                           |
| ავანსები და წინასწარი გადახდები     | 233,567                   | 205,705                   |
| <b>სავაჭრო და სხვა მოთხოვნები</b>   | <b>2,080,036</b>          | <b>2,533,831</b>          |

სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია დაახლოებით სამართლიან ღირებულებად. ყველა თანხა არის მოკლევადიანი.

2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თანხით 2,080 ათასი ლარი და 2,534 ათასი ლარი გამოყენებულია სესხების უზრუნველყოფის მიზნებისთვის. (იხ შენიშვნა 11)

### მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

#### ჯგუფური მეთოდი

სავაჭრო დებიტორული დავალიანების ამოღების დადგენისას, კომპანია ითვალისწინებს სავაჭრო დებიტორული დავალიანების საკრედიტო ხარისხის ნებისმიერ ცვლილებას კრედიტის თავდაპირველად მინიჭების დღიდან ანგარიშგების თარიღამდე.

აღიარებული გაუფასურება წარმოადგენს ამ სავაჭრო დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულებასა და მოსალოდნელი ლიკვიდაციის დროს მისაღები შემოსავლების დღევანდელ ღირებულებას შორის სხვაობას. ვადაგადაცილებული დღეების გათვალისწინებით, ნაშთები ნაწილდება 0-30 დღიდან 360 დღეზე და მეტ ხანზე. საკრედიტო რისკის კონცენტრაცია შეზღუდულია მომხმარებელთა ბაზის სიდიდისა და ერთმანეთთან დაუკავშირებლობის გამო.

შემოთ აღნიშნულის საფუძველზე, 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფურად შეფასებული დებიტორული დავალიანების ნაშთების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრა შემდეგნაირად:

| 2024 წლის 31<br>დეკემბერი | საშუალო-<br>ზარალის<br>განაკვეთი | მთლიანი<br>საბალანსო<br>ღირებულება | მინუს<br>მოსალოდნელი<br>ზარალი | წმინდა<br>საბალანსო<br>ღირებულება |
|---------------------------|----------------------------------|------------------------------------|--------------------------------|-----------------------------------|
| ლარი                      |                                  |                                    |                                |                                   |
| 0-30 დღემდე               | 0%                               | 272,801                            | -                              | 272,801                           |
| 31-60 დღემდე              | 5%                               | 343,913                            | (16,297)                       | 327,616                           |
| 61-90 დღემდე              | 4%                               | 155,381                            | (6,446)                        | 148,935                           |
| 91-180 დღემდე             | 17%                              | 334,622                            | (57,449)                       | 277,173                           |
| 180-365 დღემდე            | 42%                              | 1,036,595                          | (439,778)                      | 596,817                           |
| ერთ წელზე მეტი            | 55%                              | 448,015                            | (244,805)                      | 203,210                           |
|                           |                                  | <b>2,591,327</b>                   | <b>(764,775)</b>               | <b>1,826,552</b>                  |

| 2023 წლის 31<br>დეკემბერი | საშუალო-<br>ზარალის<br>განაკვეთი | მთლიანი<br>საბალანსო<br>დირებულება | მინუს<br>მოსალოდნელი<br>ზარალი | წმინდა<br>საბალანსო<br>დირებულება |
|---------------------------|----------------------------------|------------------------------------|--------------------------------|-----------------------------------|
| ლარი                      |                                  |                                    |                                | ა                                 |
| 0-30 დღემდე               | 0%                               | 469,053                            | -                              | 469,053                           |
| 31-60 დღემდე              | 5%                               | 304,093                            | (15,205)                       | 288,888                           |
| 61-90 დღემდე              | 5%                               | 298,927                            | (14,946)                       | 283,981                           |
| 91-180 დღემდე             | 16%                              | 792,553                            | (127,757)                      | 664,796                           |
| 180-365 დღემდე            | 38%                              | 824,217                            | (310,770)                      | 513,447                           |
| ერთ წელზე მეტი            | 47%                              | 203,089                            | (95,302)                       | 107,787                           |
|                           |                                  | <b>2,891,932</b>                   | <b>(563,981)</b>               | <b>2,327,951</b>                  |

კომპანია ყოველთვის აფასებს სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების ზარალის რეზერვს სიცოცხლის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (Lifetime ECL) ტოლი ოდენობით. სავაჭრო დებიტორული დავალიანების შემთხვევაში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება როგორც მოვალეების წარსული დეფოლტის გამოცდილებისა და მათი მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე, რაც კორექტირდება როგორც კონკრეტული მოვალისთვის დამახასიათებელი ფაქტორების, ასევე იმ ინდუსტრიის ზოგადი ეკონომიკური პირობებისა და პროგნოზირებადი ტენდენციების გათვალისწინებით, რომელშიც მოვალეები ოპერირებენ, მათ შორის ანგარიშგების თარიღისთვის არსებული და მოსალოდნელი მაკროეკონომიკური პირობების შეფასების საფუძველზე.

კომპანია ჩამოწერს სავაჭრო დებიტორულ დავალიანებას, როდესაც არსებობს ინფორმაცია, რომ მოვალე მძიმე ფინანსურ სირთულეებშია და არ არსებობს მისი ამოღების რეალისტური პერსპექტივა

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია სავაჭრო დებიტორული დავალიანების ნაშთებზე აღიარებული სიცოცხლის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოძრაობა. 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილებები შემდეგია:

| ლარი                                                 | 2024           | 2023           |
|------------------------------------------------------|----------------|----------------|
| <b>ნაშთი წლის დასაწყისში</b>                         | <b>563,981</b> | <b>593,326</b> |
| წლის განმავლობაში აღიარებული ზარალის რეზერვი         | 275,837        | 123,894        |
| წლის განმავლობაში გამოუყენებელი და აღდგენილი რეზერვი | (75,043)       | (153,239)      |
| <b>ნაშთი წლის ბოლოს</b>                              | <b>764,775</b> | <b>563,981</b> |

იხილეთ შენიშვნა 21 ა)იმ ვალუტებისთვის, რომლებშიც დენომინირებულია სავაჭრო დებიტორული დავალიანების ნაშთები. შენიშვნა 21b) მოიცავს საკრედიტო რისკისთან დაკავშირებულ გამჟღავნებებს.

## 8 ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

| ლარი                     | 2024 წლის 31<br>დეკემბერი | 2023 წლის 31<br>დეკემბერი |
|--------------------------|---------------------------|---------------------------|
| ნაღდი ფული სალაროში      | 9,955                     | 28,027                    |
| ფული საბანკო ანგარიშებზე | 237,875                   | 1,010,164                 |
|                          | <b>247,830</b>            | <b>1,038,191</b>          |

ბანკებში არსებული ნაშთებიდან არცერთი არ არის ვადაგადაცილებული. კომპანიის მენეჯმენტს არ შეუქმნია ზარალის რეზერვი ბანკებში არსებული ნაშთებისთვის მოკლევადიანი ხასიათის გამო. საბანკო ნაშთები მოიცავს მიმდინარე ანგარიშებს საქართველოში არსებულ ბანკებში და გამოიყენება კომპანიის ყოველდღიური საქმიანობის მიზნებისთვის.

ვალუტების შესახებ ინფორმაციისთვის, რომლებშიც ნაღდი ფული და საბანკო ნაშთებია დენომინირებული, იხილეთ შენიშვნა 21(ა).

## 9 კაპიტალი და რეზერვები

### 9.1 საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის საწესდებო კაპიტალი სრულად არის გადახდილი. საწესდებო კაპიტალი შეიძლება გაიზარდოს აქციონერთა გადაწყვეტილებით. აქციონერთა საერთო კრებას უფლება აქვს გამოაცხადოს დივიდენდები კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

### 9.2 დივიდენდები

საანგარიშო პერიოდში კომპანიამ გამოაცხადა და გადაიხადა დივიდენდები 2,630 ათასი ლარის ოდენობით (2023 წელს არ გამოუცხადებია დივიდენდები).

## 10 იჯარები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საიჯარო ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| ლარი         | 2024 წლის 31<br>დეკემბერი | 2023 წლის 31<br>დეკემბერი |
|--------------|---------------------------|---------------------------|
| მიმდინარე    | 1,149,931                 | 898,645                   |
| გრძელვადიანი | 2,824,767                 | 3,087,325                 |
|              | <b>3,974,698</b>          | <b>3,985,970</b>          |

კომპანიას იჯარით აქვს აღებული მაღაზიების და საწყობებისთვის ფართები. ყველა იჯარა, გარდა მოკლევადიანი ან დაბალი ღირებულების მქონე იჯარისა, აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივი გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულება.

ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან განაკვეთზე (მაგალითად, იჯარის გადახდები, რომლებიც დამოკიდებულია კომპანიის გაყიდვების პროცენტულ მაჩვენებელზე), გამორიცხულია საიჯარო ვალდებულებისა და საიჯარო აქტივის საწყისი შეფასებიდან. კომპანია აქტივის გამოყენების უფლებას აკლასიფიცირებს იგივენაირად, როგორც ძირითად საშუალებებს. (იხ. შენიშვნა 5).

თითოეული იჯარის ხელშეკრულება, როგორც წესი, აწესებს შეზღუდვას, რომ თუ კომპანიას არ აქვს აქტივის სხვა მხარისთვის ქვეიჯარით გაცემის სახელშეკრულებო უფლება, გამოყენების უფლების მქონე აქტივის გამოყენება მხოლოდ კომპანიის მიერ შეიძლება. იჯარა არის ან არაგაუქმებადი, ან მისი გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ შეწყვეტისათვის მნიშვნელოვანი საფასურის გადახდის შემთხვევაში. არც ერთი იჯარა არ შეიცავს შესყიდვის უფლებას იჯარის ვადის ბოლოს. იჯარის ვადები შეიძლება გაგრძელდეს მეიჯარესა და მოიჯარეს შორის შეთანხმების საფუძველზე. კომპანიას ეკრძალება ძირითადი იჯარით აღებული აქტივების გაყიდვა ან დაგირავება უზრუნველსაყოფად. შენობების იჯარის შემთხვევაში კომპანიამ უნდა შეინარჩუნოს ქონება კარგ მდგომარეობაში.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში აღწერილია კომპანიის საიჯარო საქმიანობის ხასიათი აქტივების გამოყენების უფლების ტიპის მიხედვით, რომელიც აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში:

| აქტივის<br>გამოყენების<br>უფლება | იჯარის<br>რაოდენობა | დარჩენილი<br>ვადის<br>დიაპაზონი | იჯარის<br>საშუალო<br>დარჩენილი<br>ვადა | იჯარების<br>რაოდენობა<br>ვადის<br>გახანგრძლივების<br>უფლებით | იჯარების<br>რაოდენობა<br>ვადის<br>შეწყვეტის<br>უფლებით |
|----------------------------------|---------------------|---------------------------------|----------------------------------------|--------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------|
| შენობები                         | 4                   | 24-60 თვე                       | 43 თვე                                 | 4                                                            | 4                                                      |

საიჯარო ვალდებულებები უზრუნველყოფილია შესაბამისი აქტივებით. მომავალი მინიმალური საიჯარო გადახდები 2024 წლის 31 დეკემბრისთვის შემდეგნაირია:

| ლარი                               | მინიმალური საიჯარო გადახდები |                        |
|------------------------------------|------------------------------|------------------------|
|                                    | 2024 წლის 31 დეკემბერი       | 2023 წლის 31 დეკემბერი |
| ერთ წლამდე                         |                              |                        |
| საიჯარო გადახდები                  | 1,416,480                    | 1,163,596              |
| ფინანსური ხარჯები                  | (266,549)                    | (264,951)              |
|                                    | <b>1,149,931</b>             | <b>898,645</b>         |
| ორიდან ხუთ წლამდე                  |                              |                        |
| საიჯარო გადახდები                  | 3,147,784                    | 3,485,852              |
| ფინანსური ხარჯები                  | (323,017)                    | (398,527)              |
|                                    | <b>2,824,767</b>             | <b>3,087,325</b>       |
| ხუთ წელზე მეტი                     |                              |                        |
| საიჯარო გადახდები                  | -                            | -                      |
| ფინანსური ხარჯები                  | -                            | -                      |
|                                    | <b>-</b>                     | <b>-</b>               |
| <b>წმინდა მიმდინარე ღირებულება</b> | <b>3,974,698</b>             | <b>3,985,970</b>       |

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, აქტივები გამოყენების უფლებით ცალკეა წარმოდგენილი, ასევე საიჯარო ვალდებულებებიც ცალკეა წარმოდგენილი. კომპანიის საიჯარო ვალდებულებების ცვლილებები შეიძლება კლასიფიცირდეს შემდეგნაირად:

| ლარი                                | საიჯარო ვალდებულება |
|-------------------------------------|---------------------|
| <b>2023 წლის 1 იანვარი</b>          | <b>2,769,525</b>    |
| <b>ფულადი ცვლილებები</b>            |                     |
| ძირი თანხის გადახდა                 | (637,533)           |
| პროცენტის გადახდა                   | (236,675)           |
| <b>არაფულადი ცვლილებები:</b>        |                     |
| ახალი კონტრაქტების საწყისი აღიარება | 1,823,980           |
| დარიცხული პროცენტი                  | 236,675             |
| მოგება/ზარალი საკურსო სხვაობებიდან  | 29,998              |
| <b>2023 წლის 31 დეკემბერი</b>       | <b>3,985,970</b>    |
| <b>ფულადი ცვლილებები</b>            |                     |
| ძირი თანხის გადახდა                 | (966,563)           |
| პროცენტის გადახდა                   | (298,715)           |
| <b>არაფულადი ცვლილებები:</b>        |                     |
| ახალი კონტრაქტების საწყისი აღიარება | 780,084             |
| დარიცხული პროცენტი                  | 298,715             |
| მოგება/ზარალი საკურსო სხვაობებიდან  | 175,207             |
| <b>2024 წლის 31 დეკემბერი</b>       | <b>3,974,698</b>    |

საიჯარო გადახდები, რომლებიც არ არის აღიარებული ვალდებულებად

კომპანიამ აირჩია არ აღიაროს საიჯარო ვალდებულება მოკლევადიანი იჯარისთვის (იჯარისთვის, რომლის პერიოდი მოსალოდნელია 12 თვე, ან ნაკლები) და იჯარისთვის, რომელთან დაკავშირებულ აქტივსაც დაბალი ღირებულება აქვს. ამგვარ იჯარაზე გადახდილი თანხები აღიარდება წრფივი მეთოდით. ამასთანავე, ზოგიერთი ცვალებადი საიჯარო გადახდები, არ არის ნებადართული, რომ აღიარდეს როგორც საიჯარო ვალდებულება და გაწევისთანავე აღიარდება ხარჯად.

ხარჯები, რომლებიც არ არის შეყვანილი საიჯარო ვალდებულების შეფასებაში და წარმოდგენილია მოგება ზარალში შემდეგნაირია:

| ლარი                     | 2024 წლის 31<br>დეკემბერი | 2023 წლის 31<br>დეკემბერი |
|--------------------------|---------------------------|---------------------------|
| მოკლევადიანი იჯარა       | 245,550                   | 133,070                   |
| დაბალი ღირებულების იჯარა | 114,576                   | 34,651                    |
| ცვლადი იჯარა             | 116,781                   | 354,047                   |
|                          | <b>476,907</b>            | <b>521,768</b>            |

## 11 სესხები

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხების პირობები იყო შემდეგნაირი:

| ლარი                                                      | ვალუტა     | 2024 წლის 31<br>დეკემბერი | 2023 წლის 31<br>დეკემბერი |
|-----------------------------------------------------------|------------|---------------------------|---------------------------|
| <b>უზრუნველყოფილი საბანკო სესხები:</b>                    |            |                           |                           |
| სს საქართველოს ბანკი                                      | ლარი       | 4,964,652                 | 92                        |
| <b>არაუზრუნველყოფილი სესხები დაკავშირებული მხარისგან:</b> |            |                           |                           |
| მპს GDM                                                   | ლარი       | 4,258                     | -                         |
| ლევან კვიჩინაძე                                           | აშშ დოლარი | 2,737,879                 | 2,623,362                 |
|                                                           |            | <b>7,706,789</b>          | <b>2,623,454</b>          |
| სესხის მოკლევადიანი ნაწილი                                |            | 7,706,789                 | 2,623,454                 |
| სესხის გრძელვადიანი ნაწილი                                |            | -                         | -                         |
|                                                           |            | <b>7,706,789</b>          | <b>2,623,454</b>          |

ნასესხებ სახსრებზე მოქმედი საპროცენტო განაკვეთები, როგორც წესი, განისაზღვრება საქართველოს ეროვნული ბანკის (NBG) მიერ გამოქვეყნებული ყოველთვიური საბაზრო განაკვეთების საფუძველზე. გამონაკლისი ვრცელდება სს საქართველოს ბანკის სესხებზე, რომლებზეც პროცენტი ერიცხება ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთის ტოლი მცურავი განაკვეთით, პლუს 1.78%-იანი ფიქსირებული ზღვარი.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის ყველა სესხი კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულება, რადგან ან ხელშეკრულებით უნდა დაიფაროს ანგარიშგების თარიღიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან წარმოადგენს სესხს მოთხოვნამდე.

სესხის ხელშეკრულებები დაკავშირებულ მხარეებთან არ შეიცავს ფიქსირებულ დაფარვის გრაფიკს; ამის ნაცვლად, ეს სესხები უნდა დაფაროთ დისკრეციული საფუძველზე, მხარეებს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის სესხების მოძრაობა შემდეგი იყო:

| ლარი                               | 2024             | 2023             |
|------------------------------------|------------------|------------------|
| <b>ნაშთი წლის დასაწყისში</b>       | <b>2,623,454</b> | <b>1,664,772</b> |
| <b>ფულადი ცვლილებები</b>           |                  |                  |
| სესხის აღება                       | 12,191,600       | 9,308,765        |
| სესხის ძირის დაფარვა               | (7,277,288)      | (8,364,607)      |
| სესხის პროცენტის დაფარვა           | (445,035)        | (236,086)        |
| <b>არაფულადი ცვლილებები</b>        |                  |                  |
| დარიცხული პროცენტი                 | 500,631          | 208,962          |
| მოგება/ზარალი საკურსო სხვაობებიდან | 113,427          | 41,649           |
| <b>ნაშთი წლის ბოლოს</b>            | <b>7,706,789</b> | <b>2,623,454</b> |

საბანკო სესხები არ ექვემდებარება შემზღუდველ პირობებს. ბანკის სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის საკუთრებაში არსებული მოძრავი აქტივებით.

საბანკო სესხების საბალანსო ღირებულება ითვლება სამართლიანი ღირებულების გონივრულ მიახლოებად.

კომპანიის სავალუტო რისკისადმი ზემოქმედების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 21(ა).

## 12 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

| ლარი                                | 2024 წლის 31<br>დეკემბერი | 2023 წლის 31<br>დეკემბერი |
|-------------------------------------|---------------------------|---------------------------|
| სავაჭრო ვალდებულებები               | 533,765                   | 541,481                   |
| ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ | 64,688                    | 81,085                    |
| მიღებული ავანსები                   | 26,324                    | 67,012                    |
|                                     | <b>624,777</b>            | <b>689,578</b>            |

საშუალო საკრედიტო პერიოდი საქონლის შესყიდვებზე არის 1.6 თვე (2023: 1.6 თვე). სავაჭრო ვალდებულებებზე პროცენტი არ ირიცხება. კომპანიას აქვს ფინანსური რისკების მართვის პოლიტიკა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყველა გადასახდელი დავალიანება დაფაროს საკრედიტო პერიოდის ვალებში.

კომპანიის სავალუტო რისკზე ზემოქმედების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 21(ა).

## 13 შემოსავალი

| ლარი             | 2024 წლის 31<br>დეკემბერი | 2023 წლის 31<br>დეკემბერი |
|------------------|---------------------------|---------------------------|
| საბაზო გაყიდვები | 5,823,336                 | 5,130,135                 |
| დისტრიბუცია      | 5,524,112                 | 7,310,083                 |
|                  | <b>11,347,448</b>         | <b>12,440,218</b>         |

კომპანია ზოგიერთ მომხმარებელთან დებს შეთანხმებებს, რომლებიც მოიცავს ქეშბექის სტიმულებს, რომლის მიხედვითაც მომხმარებლებს უფლება აქვთ დაიბრუნონ მათი ყოველთვიური შესყიდვების ფიქსირებული პროცენტი. ამ შეთანხმებების თანახმად, კომპანია აღიარებს შემოსავალს ქეშბექის თანხების გამოკლებით. 2024 წლის 31 დეკემბრით და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის, აღიარებული ქეშბექის მთლიანი ოდენობა შეადგენდა 261,508 ლარს და 173,261 ლარს შესაბამისად.

## 14 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

| ლარი             | 2024 წლის 31<br>დეკემბერი | 2023 წლის 31<br>დეკემბერი |
|------------------|---------------------------|---------------------------|
| საბაზო გაყიდვები | 2,888,671                 | 2,695,368                 |
| დისტრიბუცია      | 2,740,240                 | 3,840,710                 |
|                  | <b>5,628,911</b>          | <b>6,536,078</b>          |

## 15 გაყიდვის და დისტრიბუციის ხარჯები

| ლარი                                      | 2024 წლის 31<br>დეკემბერი | 2023 წლის 31<br>დეკემბერი |
|-------------------------------------------|---------------------------|---------------------------|
| ხელფასები და დასაქმებულთა სხვა ბენეფიტები | 1,658,983                 | 1,408,362                 |
| აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა         | 1,093,210                 | 804,858                   |
| საიჯარო ხარჯი                             | 409,612                   | 456,855                   |
| ტრანსპორტირების ხარჯი                     | 121,609                   | 122,701                   |
| მარკეტინგის ხარჯი                         | 43,393                    | 125,323                   |
| ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯი               | 8,310                     | 8,286                     |
| სხვა                                      | 121,108                   | 82,935                    |
|                                           | <b>3,456,225</b>          | <b>3,009,320</b>          |

## 16 ადმინისტრაციული ხარჯები

| ლარი                                          | 2024 წლის 31<br>დეკემბერი | 2023 წლის 31<br>დეკემბერი |
|-----------------------------------------------|---------------------------|---------------------------|
| ხელფასები და დასაქმებულთა სხვა ბენეფიტები     | 524,079                   | 610,098                   |
| ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი                  | 202,468                   | 162,200                   |
| მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ხარჯი/(აღდგენა) | 200,795                   | (29,345)                  |
| მომსახურების ხარჯი                            | 92,501                    | 77,288                    |
| კომუნალური ხარჯი                              | 72,651                    | 59,932                    |
| საიჯარო ხარჯი                                 | 67,295                    | 64,913                    |
| მივლინების ხარჯი                              | 49,674                    | 64,112                    |
| პროფესიონალური მომსახურების ხარჯი             | 24,113                    | 22,258                    |
| საგადასახადო ხარჯი გარდა მოგებისა             | 8,710                     | 8,616                     |
| დაზღვევის ხარჯი                               | 6,088                     | 4,538                     |
| ტრანსპორტირების ხარჯი                         | 4,600                     | 1,619                     |
| წარმომადგენლობითი ხარჯი                       | 2,091                     | 1,408                     |
| სხვა ხარჯი                                    | 84,447                    | 59,160                    |
|                                               | <b>1,339,512</b>          | <b>1,106,796</b>          |

## 17 ფინანსური შემოსავლები და ხარჯები

| ლარი                                       | 2024 წლის 31<br>დეკემბერი | 2023 წლის 31<br>დეკემბერი |
|--------------------------------------------|---------------------------|---------------------------|
| საპროცენტო ხარჯები საიჯარო შეთანხმებებზე   | (298,715)                 | (236,675)                 |
| საპროცენტო შემოსავალი სესხებზე             | (500,631)                 | (208,962)                 |
| საპროცენტო შემოსავლები დეპოზიტებზე         | 28,643                    | 4,240                     |
| <b>წმინდა ფინანსური (ხარჯი)/შემოსავალი</b> | <b>(770,704)</b>          | <b>(441,398)</b>          |

## 18 შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო თარიღის შემდგომ, არ ყოფილა ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა რომელიც მოახდენდა გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

## 19 მნიშვნელოვანი ბუღალტრული დამჯებები და შეფასებები

დამჯებები და მსჯელობები არის მუდმივად შეფასების პროცესში და დაფუძნებულია ისტორიულ გამოცდილებაზე. ამასთან, გათვალისწინებულია სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავლის მოვლენები და მოლოდინები, რაც სარწმუნოა რომ მიესადაგება აღნიშნულ გარემოებებს.

### 19.1 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

კომპანია შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული ბუღალტრული შეფასებები, განმარტების თანახმად, შესაძლოა არ დაემთხვეს რეალურ შედეგს. შეფასებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო დერეგულაციების კორექტირების საჭიროებისა, განხილულია ქვემოთ.

#### მარაგები

მენეჯმენტი აფასებს მარაგების წმინდა გასაყიდ ღირებულებას ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ყველაზე სანდო მტკიცებულებების გათვალისწინებით. მარაგების სამომავლო რეალიზაციაზე შეიძლება გავლენა იქონიოს ტექნოლოგიებმა ან სხვა საბაზრო ცვლილებებმა, რამაც შეიძლება შეამციროს მომავალი გასაყიდი ფასები.

#### ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

მენეჯმენტმა შეაფასა ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო პერიოდის ხანგრძლივობა და დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური სასიცოცხლო ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასიცოცხლო ხანგრძლივობა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები მნიშვნელოვნად განსხვავებული იქნება.

#### მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

კომპანია აფასებს დებიტორული დავალიანებისა და წინასწარ გადახდილი თანხების გაუფასურებას, ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით როგორიც არის მისი ვადაგადაცილების სტატუსი ან ცუდი საკრედიტო რეიტინგი. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ადეკვატურობის შეფასებისას, მენეჯმენტის შეფასება ეფუძნება მიმდინარე ზოგად ეკონომიკურ პირობებს, დებიტორული დავალიანების ხანდაზმულობას, ისტორიულად ჩამოწერის გამოცდილებას, მომხმარებლის კრედიტუნარიანობას და გადახდის პირობების ცვლილებებს. ეკონომიკაში, ინდუსტრიაში ან მომხმარებლის ქცევაში კონკრეტულმა ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის კორექტირება.

### 19.2 საადრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მსჯელობები და დამჯებები

შეფასებები და დამჯებები მუდმივად ფასდება და ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მომავალ მოვლენებზე მოლოდინების ჩათვლით, რაც სარწმუნოა, რომ გონივრულია გარემოებების გათვალისწინებით.

#### ცვლადი ანაზღაურება - ქმბექის შეთანხმებები

კომპანიის ზოგიერთი ხელშეკრულებები მომხმარებლებთან მოიცავს ქმბექის სტიმულებს, რომლებიც გულისხმობს მომხმარებლის მიერ შესყიდვების რაოდენობაზე ფიქსირებულ პროცენტების დაბრუნებას. მიუხედავად იმისა, რომ ქმბექი ფასს 15-ის მიხედვით კლასიფიცირდება, როგორც ცვლადი ანაზღაურება, კომპანია ქმბექის ოდენობას განსაზღვრავს ყოველთვიური ფაქტობრივი გაყიდვების საფუძველზე და არ აკეთებს პროგნოზებს ან შეფასებებს.

შესაბამისად, ქმბექის აღიარება არ მოითხოვს მნიშვნელოვან განსჯას ან შეფასებას და აღირიცხება, როგორც შემოსავლის შემცირება იმ პერიოდში, როდესაც აღიარდება შესაბამისი გაყიდვები. აქედან გამომდინარე, არ არსებობს ცვალებადი ანაზღაურების შეზღუდვის მოთხოვნა, რადგან თანხები განსაზღვრადია და არ ექვემდებარება მნიშვნელოვან კორექტირებას.

## 20 ფინანსური ინსტრუმენტები

### 20.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის დეტალები და განხორციელების მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები და ბაზისი, რომლის საფუძველზეც ხდება შემოსავლის თუ ხარჯის აღიარება, ფინანსური აქტივების და ვალდებულებების კლასების შესაბამისად, წარმოდგენილია შენიშვნა 20-ში.

### 20.2 ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილში:

#### ფინანსური აქტივები

| ლარი                                   | 2024 წლის 31<br>დეკემბერი | 2023 წლის 31<br>დეკემბერი |
|----------------------------------------|---------------------------|---------------------------|
| ამორტიზებული ღირებულება                |                           |                           |
| ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე | 247,830                   | 1,038,191                 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები             | 1,846,469                 | 2,328,126                 |
| <b>მთლიანი ფინანსური აქტივები</b>      | <b>2,094,299</b>          | <b>3,366,317</b>          |

#### ფინანსური ვალდებულებები

| ლარი                                   | 2024 წლის 31<br>დეკემბერი | 2023 წლის 31<br>დეკემბერი |
|----------------------------------------|---------------------------|---------------------------|
| ამორტიზებული ღირებულება                |                           |                           |
| სესხები                                | 7,706,789                 | 2,623,454                 |
| საიჯარო ვალდებულებები                  | 3,974,698                 | 3,985,970                 |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები          | 598,453                   | 622,566                   |
| <b>მთლიანი ფინანსური ვალდებულებები</b> | <b>12,279,941</b>         | <b>7,231,990</b>          |

## 21 ფინანსური რისკის მართვა

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ სხვადასხვა რისკებს ექვემდებარება. ძირითადი რისკების ტიპებია საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

კომპანია არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში და არ უშვებს ოფციონებს. ძირითადი ფინანსური რისკები, რომლებიც კომპანიასთან არის დაკავშირებული აღწერილია ქვემოთ.

#### ფინანსური რისკის ფაქტორები

##### a) საბაზრო რისკი

კომპანიას აქვს საბაზრო რისკი ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად და ძირითადად მისი რისკები დაკავშირებულია სავალუტო რისკთან, რომელიც გამომდინარეობს მისი საოპერაციო საქმიანობიდან.

#### უცხოური ვალუტის რისკი

კომპანიის ტრანზაქციების უმეტესობა არის ეროვნულ ვალუტაში. საკურსო სხვაობები აქვს უცხოელ მომწოდებლებთან ვაჭრობის და საიჯარო ვალდებულებების გამო.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც კომპანიას საკურსო რისკს უქმნიან, განხილულია ქვემოთ. თანხები გადაყვანილია ლარებში წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით:

| ერთეული                                |                    |              |               |
|----------------------------------------|--------------------|--------------|---------------|
| 2024 წლის 31 დეკემბერი                 | დოლარი             | ევრო         | რუბლი         |
| <b>ფინანსური აქტივები</b>              |                    |              |               |
| ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე | 1,524              | 197          | -             |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები             | 88,653             | 5,453        | 40,525        |
|                                        | <b>90,177</b>      | <b>5,650</b> | <b>40,525</b> |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b>         |                    |              |               |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები          | 7,249              | -            | -             |
| საიჯარო ვალდებულებები                  | 3,974,699          | -            | -             |
| სესხები                                | 2,737,879          | -            | -             |
|                                        | <b>6,719,827</b>   | <b>-</b>     | <b>-</b>      |
| <b>წმინდა პოზიცია</b>                  | <b>(6,629,650)</b> | <b>5,650</b> | <b>40,525</b> |

| ერთეული                                |                    |               |          |
|----------------------------------------|--------------------|---------------|----------|
| 2023 წლის 31 დეკემბერი                 | დოლარი             | ევრო          | რუბლი    |
| <b>ფინანსური აქტივები</b>              |                    |               |          |
| ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე | 3,050              | 429           | -        |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები             | 89,548             | 14,226        | -        |
|                                        | <b>92,598</b>      | <b>14,655</b> | <b>-</b> |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b>         |                    |               |          |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები          | 7,542              | -             | -        |
| საიჯარო ვალდებულებები                  | 3,985,970          | -             | -        |
| სესხები                                | 2,623,362          | -             | -        |
|                                        | <b>6,616,874</b>   | <b>-</b>      | <b>-</b> |
| <b>წმინდა პოზიცია</b>                  | <b>(6,524,276)</b> | <b>14,655</b> | <b>-</b> |

ცხრილი ასახავს დოლარის და ევროს მიმართ ლარის 15% (2023: 15%) კლება/მატების გავლენას კომპანიაზე. აღნიშნული 15% (2023: 15%) არის მმართველობის მიერ შეფასებული სავარაუდო ცვლილება ლარისა და დოლარის გაცვლით კურსებში. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ დომინანტ ვალუტას და ახდენს წლის ბოლოს მათ კორექტირებას 15%-იანი (2023: 15%) განაკვეთით.

ქართული ლარი რომ გამყარებულიყო დოლარსა და ევროსთან მიმართებაში 15% ით (2023: 15%), მაშინ ამას ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა;

| ლარი            | აშშ დოლარის გავლენა |           | ევროს გავლენა |       |
|-----------------|---------------------|-----------|---------------|-------|
|                 | 2024                | 2023      | 2024          | 2023  |
| მოგება/(ზარალი) | (994,447)           | (978,641) | 848           | 2,198 |

სავალუტო კურსების სხვაობების გამოვლინებები წლის განმავლობაში დამოკიდებულია უცხოურ ვალუტაში განხორციელებულ ოპერაციებთან. მიუხედავად ამისა, მიჩნეულია, რომ ზემოთ აღნიშნული ანალიზი წარმოადგენს სავალუტო რისკის პოზიციას.

## b) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც ის მიიღებს ფინანსურ ზარალს. კომპანია შესაძლოა აღმოჩნდეს საკრედიტო რისკის ქვეშ ფინანსური აქტივების გავლენით, მათ შორის, ნაღდი ფულის, საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულის, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და გაცემული სესხების ჩათვლით.

კომპანია მუდმივად აკონტროლებს კლიენტების საკრედიტო რეიტინგს. სადაც შესაძლებელია, მიიღება და გამოიყენება კლიენტების შესახებ გარე საკრედიტო რეიტინგები და/ან ანგარიშები. კომპანიის პოლიტიკაა, ითანამშრომლოს მხოლოდ კრედიტუნარიან კონტრაგენტებთან. მიმდინარე საკრედიტო რისკი იმართება ხანდაზმულობის ანალიზის რეგულარული გადახედვით და კლიენტზე საკრედიტო ლიმიტების დაწესებით.

## სავაჭრო მოთხოვნები

კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას სავაჭრო დებიტორული დავალიანებისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისას, ვინაიდან ეს მუხლი არ შეიცავს მნიშვნელოვან დაფინანსების კომპონენტს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაცია წარმოდგენილია შენიშვნა 7-ში.

## ნაღდი ფული და საბანკო ნაშთები

ბანკებში არსებული ნაღდი ფულის ნაშთებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი იმართება საბანკო დეპოზიტების დივერსიფიკაციის გზით და რომელიც განთავსებულია მხოლოდ მსხვილ რეპუტაციის მქონე ფინანსურ ინსტიტუტებში. იხილეთ შენიშვნა 8.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიისთვის არ არსებობს ზარალის მნიშვნელოვანი რისკი, ამ ფინანსურ ანგარიშგებაში უკვე ასახული რეზერვების გარდა.

## c) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა ვალდებულების დაფარვას მათი გადახდის ვადის ბოლოს.

კომპანია ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა მან დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესო ვალდებულება.

შემდეგი ცხრილი დეტალურად ასახავს არადერივატული ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდს. ცხრილი შედგენილ იქნა არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით, დაფუძნებული უახლოეს თარიღზე, როდესაც შეიძლება კომპანიის მიმართ მოთხოვნილ იქნას აღნიშნული ვალდებულების გასტუმრება.

ცხრილი შეიცავს ფინანსური ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს:

| 2024                          | საპროცენტო<br>განაკვეთის<br>არმქონე | ფიქსირებული<br>საპროცენტო<br>განაკვეთის<br>ინსტრუმენტი | ფინანსური<br>იჯარის<br>ვალდებულება | ჯამი              |
|-------------------------------|-------------------------------------|--------------------------------------------------------|------------------------------------|-------------------|
| ლარი                          |                                     |                                                        |                                    |                   |
| საშუალო შეწონილი ეფექტური (%) |                                     | 10.19%                                                 | 8.00%                              |                   |
| 1 თვეზე ნაკლები               | -                                   | 106,359                                                | 121,511                            | 227,870           |
| 1 თვიდან 3 თვემდე             | 533,765                             | 212,717                                                | 243,023                            | 455,740           |
| 3 თვიდან 1 წლამდე             | 64,688                              | 12,510,676                                             | 354,120                            | 12,864,796        |
| 1 წლიდან 5 წლამდე             | -                                   | -                                                      | 3,845,610                          | 3,845,610         |
|                               | <b>598,453</b>                      | <b>12,829,752</b>                                      | <b>4,564,264</b>                   | <b>17,394,016</b> |

| 2023                          | საპროცენტო<br>განაკვეთის<br>არმქონე | ფიქსირებული<br>საპროცენტო<br>განაკვეთის<br>ინსტრუმენტი | ფინანსური<br>იჯარის<br>ვალდებულება | ჯამი              |
|-------------------------------|-------------------------------------|--------------------------------------------------------|------------------------------------|-------------------|
| ლარი                          |                                     |                                                        |                                    |                   |
| საშუალო შეწონილი ეფექტური (%) |                                     | 11.13%                                                 | 7.66%                              |                   |
| 1 თვეზე ნაკლები               | -                                   | 58,883                                                 | 96,966                             | 155,850           |
| 1 თვიდან 3 თვემდე             | 541,481                             | 117,766                                                | 193,933                            | 311,699           |
| 3 თვიდან 1 წლამდე             | 81,085                              | 6,257,150                                              | 872,697                            | 7,129,847         |
| 1 წლიდან 5 წლამდე             | -                                   | 1,018                                                  | 3,795,079                          | 3,796,097         |
|                               | <b>622,566</b>                      | <b>6,434,817</b>                                       | <b>4,958,674</b>                   | <b>11,393,492</b> |

კომპანია ლიკვიდურობის რისკის შეფასებისა და მართვისას ითვალისწინებს ფინანსური აქტივებიდან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, განსაკუთრებით მისი ფულადი რესურსებისა და სავაჭრო მოთხოვნების გათვალისწინებით. კომპანიის ფულადი სახსრები და სავაჭრო მოთხოვნები აღემატება ფულის გადინების მიმდინარე მოთხოვნებს.

## 22 სამართლიანი ღირებულება

კომპანია ახდენს აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზს, რომლებიც შემდგომ შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით და ჯგუფდება 1 დონიდან 3 დონემდე:

- დონე 1 – სამართლიანი ღირებულება განსაზღვრულია კოტირებული საბაზრო ფასით, რომელიც კოტირდება აქტიურ ბაზარზე;
- დონე 2- სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება კოტირებული ფასებით, რომელიც მოიცავს პირველ დონეს და მსგავსია არსებული აქტივის ან ვალდებულების; და
- დონე 3 – სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება შეფასებისგან, რომელიც მოიცავს ისეთ აქტივებს და ვალდებულებებს, რომლებიც ბაზარზე არ კოტირდებიან (არასაბაზრო მონაცემები).

კომპანია არ ფლობს სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ აქტივებს ან ვალდებულებებს, არც განმეორებადი და არც არარეგულარული საფუძველზე.

## 23 კაპიტალის რისკის მართვა

კომპანია ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს უწყვეტად ფუნქციონირების გაგრძელება და აქციონერებსაც ადეკვატური უკუგება აჩვენოს.

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა მოიცავს საკუთარ საწესდებო კაპიტალს და გაუნაწილებელ მოგებას

მენეჯმენტი მუდმივად აფასებს კომპანიის კაპიტალის საჭიროებას, რათა შეინარჩუნოს დაფინანსების ეფექტური საერთო სტრუქტურა და ამავე დროს თავიდან აიცილოს ზედმეტი დამოკიდებულება ნასესხებ სახსრებზე (ზედმეტი/გადაჭარბებული ლევერიჯი). ამ ანალიზისას გაითვალისწინება კომპანიის სხვადასხვა კლასის სესხების სუბორდინაციის დონეები. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს ამ სტრუქტურის ცვლილებებს იმ ეკონომიკური პირობებისა და რისკის მახასიათებლების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებიც ახასიათებს კაპიტალის მაფორმირებელ აქტივებს. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირების მიზნით, კომპანიას შეუძლია შეცვალოს აქციონერებისთვის გადახდილი დივიდენდების ოდენობა, დაუბრუნოს კაპიტალი აქციონერებს ან გამოისყიდოს არსებული სესხები ვალის შესამცირებლად. კომპანია ახორციელებს კაპიტალის მონიტორინგს „წმინდა ვალის“ და „კორექტირებულ კაპიტალთან“ თანაფარდობის გამოყენებით.

კომპანიის მიერ კაპიტალის სახით მართული თანხები ანგარიშგების პერიოდებში შეჯამებულია შემდეგნაირად:

| ლარი                                                    | 2024 წლის 31<br>დეკემბერი | 2023 წლის 31<br>დეკემბერი |
|---------------------------------------------------------|---------------------------|---------------------------|
| სესხები                                                 | 7,706,789                 | 2,623,454                 |
| გამოკლებული ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე           | (247,830)                 | (1,038,191)               |
| <b>წმინდა სესხები</b>                                   | <b>7,458,959</b>          | <b>1,585,263</b>          |
| კაპიტალი                                                | 3,179,910                 | 6,205,926                 |
| <b>წმინდა სესხის კოეფიციენტი კაპიტალთან მიმართებაში</b> | <b>2.35</b>               | <b>0.26</b>               |

## 24 გაუთვალისწინებელი გარემოებები

### 24.1 გადასახადები

გადასახადები საგადასახადო ორგანოების მხრიდან ექვემდებარება განხილვას და შემოწმებას, რომელიც წარმოშობს კანონით გათვალისწინებულ მკაცრ ჯარიმებსა და საურავებს. ამ ფაქტორებმა შესაძლოა წარმოშვას საგადასახადო რისკი საქართველოში, არსებითად უფრო მეტად ვიდრე სხვა განვითარებულ ქვეყნებში. მენეჯმენტს სჯერა, რომ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციის საფუძველზე

საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურად არის განსაზღვრული. თუმცა, შესაბამის ორგანოებს შესაძლოა ჰქონდეთ განსხვავებული ინტერპრეტაციები და ეფექტი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი.

## 25 დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენენ საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები და კომპანიის ხელმძღვანელობა.

### 25.1 საკონტროლო ურთიერთობები

კომპანიის საკონტროლო პაკეტის (50%) მფლობელია მპს „ვივიდა“. დანარჩენ წილებს ფლობენ შემდეგი ფიზიკური პირები: ლევან კვიჩინაძე — 40%-ს, გიორგი კვიჩინაძე — 5%-ს და საბა კვიჩინაძე — 5%-ს.

### 25.2 ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ტრანზაქციები და ნაშთები.

| ლარი                            | 2024 წლის 31<br>დეკემბერი | 2023 წლის 31<br>დეკემბერი |
|---------------------------------|---------------------------|---------------------------|
| <b>ნაშთები</b>                  |                           |                           |
| დაკავშირებული მხარეების ნაშთები |                           |                           |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები      | 3,341                     | 4,341                     |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები   | 1,194                     | 1,887                     |
| სესხები                         | 2,742,137                 | 2,623,362                 |
| საიჯარო ვალდებულებები           | 1,320,989                 | 1,682,420                 |

| ლარი                                 | 2024 წლის 31<br>დეკემბერი | 2023 წლის 31<br>დეკემბერი |
|--------------------------------------|---------------------------|---------------------------|
| <b>ტრანზაქციები</b>                  |                           |                           |
| ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან |                           |                           |
| შემოსავალი                           | 5,761                     | 19,115                    |
| გაცემული დივიდენდი                   | 2,630,000                 | -                         |
| იჯარის ხარჯი                         | 76,168                    | 18,831                    |
| აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა    | 446,689                   | 223,344                   |
| ფინანსური იჯარის ხარჯის დაფარვა      | 559,312                   | 273,787                   |
| ფინანსური ხარჯი                      | 348,218                   | 255,576                   |
| სესხების დაფარვა                     | 1,180,134                 | 1,333,843                 |
| სესხის აღება                         | 983,000                   | 2,249,765                 |
| მოგება საკურსო სხვაობიდან, ნეტი      | 175,672                   | 93,992                    |

### 25.3 ტრანზაქციები ხელმძღვანელობასთან და ოჯახის წევრებთან

წლის განმავლობაში ძირითადი ხელმძღვანელობის მიერ მიღებული ანაზღაურების დეტალები:

| ლარი                  | 2024 წლის 31<br>დეკემბერი | 2023 წლის 31<br>დეკემბერი |
|-----------------------|---------------------------|---------------------------|
| ხელფასები და ბონუსები | 253,002                   | 217,444                   |

## მმართველობის ანგარიშგება

### სუბიექტის ბიზნეს მიმოხილვა

#### 1. ორგანიზაციის ბიზნესის განვითარება, შესრულება და მდგომარეობა

შპს „ლევორი“ არის ქართული სავაჭრო და სადისტრიბუციო კომპანია, რომელიც დაარსდა 2006 წლის 13 ივლისს. ის რეგისტრირებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით, საიდენტიფიკაციო ნომრით 202345426. კომპანიის იურიდიული მისამართია: დ. ჯაბიძის ქუჩა №15, გლდან-ნაძალადევის რაიონი, თბილისი, საქართველო.

„ლევორი“ ოპერირებს მინის ჭურჭლის, ფაიფურის ნაწარმის, სამზარეულოს აქსესუარების და საყოფაცხოვრებო ნივთების საბითუმო და საცალო ვაჭრობაში. ის ასევე ახორციელებს სათამაშოებისა და ბავშვთა პროდუქციის ფართო ასორტიმენტის იმპორტს და დისტრიბუციას. კომპანია ქართულ ბაზარზე პოზიციონირებს როგორც სამომხმარებლო საქონლის დისტრიბუტორად, ასევე საცალო გამყიდველად.

„ლევორი“ მართავს რამდენიმე საცალო სავაჭრო ობიექტს თბილისში, მათ შორის:

- „ვილმაქს ჰოუმი“ – გლდანი (სიტი მოლი),
- „ვილმაქს ჰოუმი“ – საბურთალო (სიტი მოლი),
- „ლევორის მაღაზია“ – მდებარეობს წერეთლის გამზირზე,
- „ლევორის მაღაზია“ – მდებარეობს ჯაბიძის ქუჩაზე
- „ლევორის“ აუთლეტი ლილო მოლში.

2025 წელს კომპანიამ გააფართოვა საცალო ქსელი შემდეგი ობიექტების გახსნით:

- სათამაშოების მაღაზია თბილისში, ბარნოვის ქუჩაზე, რომელიც ექსკლუზიურად სათამაშოებზეა ორიენტირებული;
- დიდი ფორმატის მაღაზია ქუთაისში, რომელიც მდებარეობს წერეთლის ქუჩაზე, რომელიც გთავაზობთ პროდუქციის სრულ ასორტიმენტს, მათ შორის სამზარეულოს ჭურჭელს, ჭიქებს, სათამაშოებს, აქსესუარებს, სათამაშოებს და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთებს.

„ლევორი“- მა მაღალი ხარისხის, ხელმისაწვდომი იმპორტირებული საყოფაცხოვრებო საქონლისა და სათამაშოების შეთავაზებით, მაღალი რეპუტაცია დაიმკვიდრა საქართველოს ბაზარზე. მისი მაღაზიები ცნობილია პროდუქციის მრავალფეროვნებით, რომლებიც განკუთვნილია როგორც საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის, ასევე HORECA კლიენტებისთვის (სასტუმროები, რესტორნები და კაფეები).

2024 წელს კომპანიამ 11 347 ათასი ლარის შემოსავალი მიიღო. მთლიანი მოგების მარჟამ 2024 წელს 50% შეადგინა. 2024 წელს დასაქმებულთა რაოდენობა 87 იყო.

#### კომპანიის მისია:

„მრავალფეროვანი, ინოვაციური და საიმედო სამომხმარებლო პროდუქტების შეთავაზებით, ოჯახებისა და ბიზნესებისთვის სანდო საცალო და დისტრიბუციის პარტნიორი გავხდეთ“

#### კომპანიის სტრატეგია:

- თითოეული ბიზნეს ერთეულის ეფექტურობის მუდმივი ანალიზი და გაუმჯობესება
- საერთაშორისო მომწოდებლების პორტფელის გაფართოება, ექსკლუზიური იმპორტის უფლებებზე ფოკუსირებით.

## 2. ორგანიზაციის სამომავლო განვითარების გეგმები

2025/2026 წლებში კომპანია გეგმავს შემდეგი პროექტების განხორციელებას:

- ახალი მაღაზიების გახსნა აჭარასა და ზუგდიდში
- სათამაშოებზე ორიენტირებული მაღაზიების გაფართოება რეგიონულ ქალაქებში.
- საწყობისა და მარაგების ავტომატიზაციის სისტემების დანერგვა უფრო ეფექტური ლოჯისტიკისთვის.

## 3. ორგანიზაციის მიერ განხორციელებული კვლევისა და განვითარების მიმოხილვა

2024 წელს კომპანიის გუნდმა ადგილობრივ დონეზე რამდენიმე კვლევითი პროექტი განახორციელა.

## 4. ინფორმაცია ორგანიზაციის ფილიალების შესახებ

კომპანიის სტრუქტურული ერთეულები თბილისსა და ქუთაისშია განთავსებული. ქუთაისში ოპერაციები, ასევე საქონლის შემადგენლობა, თბილისის ფილიალების მსგავსია.

## 5. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების ანალიზი შემდეგია:

|   | თანხა ათას ლარებში    | 2024   | 2023   |
|---|-----------------------|--------|--------|
| 1 | შემოსავალი            | 11 347 | 12 440 |
| 2 | მთლიანი მოგება        | 5,718  | 5,904  |
| 3 | მოგება დაბეგვრამდე    | (128)  | 1 274  |
| 4 | მთლიანი მოგების მარჟა | 50%    | 47%    |

ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლების ანალიზი წარმოდგენილია შემდეგი სახით:

|   | ერთეული                          | 2024   | 2023  |
|---|----------------------------------|--------|-------|
| 1 | პროდუქციის პორტფელის რაოდენობა   | 11 200 | 7 000 |
| 2 | პერსონალის რაოდენობა             | 87     | 90    |
| 3 | აქტიური მომხმარებლების რაოდენობა | 2 162  | 2 360 |

## 6. ინფორმაცია წილის შეძენის შესახებ

2024 წელს კომპანიას საკუთარი აქციების შეძენა არ განუხორციელებია.

## 7. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხების დამატებითი განმარტებები

ამ მმართველობის ანგარიშის მომზადების დროს, კომპანია ადასტურებს, რომ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში გამჟღავნებული ყველა მნიშვნელოვანი თანხა სათანადოდ არის აღრიცხული და დადასტურებულია შესაბამისი დოკუმენტაციით. არ გამოვლენილა უჩვეულო ან არარეგულარული ტრანზაქციები, რომლებიც მოითხოვდა ცალკე გამჟღავნებას ფინანსური ანგარიშგების შენიშვნების გარდა.

საჭიროების შემთხვევაში, კონკრეტული ნაშთების (მაგ., მარაგები, მოთხოვნები, ვალდებულებები და რეზერვები) დამატებითი განმარტებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში მოქმედი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად. კომპანია არ მიიჩნევს, რომ ანგარიშგების თარიღის მდგომარეობით არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი აღურიცხავი ვალდებულებები ან პირობითი ვალდებულებები.

## 8. ორგანიზაციის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობისა და ფულადი ნაკადების რისკებისა და მექანიზმების გადახედვა მათი მართვისათვის

კომპანიის გაყიდვების 70%-ზე მეტი ნაღდი ფულით ხორციელდება. სხვა მომხმარებლებთან კრედიტის ვადა 7-დან 90 დღემდე მერყეობს. არსებობს ხანდაზმული დებიტორული დავალიანების გარკვეული ნაშთები, რომლებიც რეზერვირებულია კომპანიის ხანდაზმული დებიტორული დავალიანების რეზერვის მეთოდოლოგიის შესაბამისად.

მომწოდებლებთან საკრედიტო ვადა 0-დან 45 დღემდე მერყეობს, მაგრამ მომწოდებლების უმეტესობას წინასწარი გადახდებით ხდება ურთიერთობა. საშუალო მარაგების ბრუნვის პერიოდი 2024 და 2023 წლებში შესაბამისად 440 და 255 დღე იყო.

## 9. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები, საწარმოს მიზანი და პოლიტიკა ფინანსური რისკების მართვის გათვალისწინებით

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

|   | რისკისა და გაურკვევლობის ახსნა                                                                                                                                                                                                                                                      | მენეჯმენტის პასუხი                                                                                                                                                      |
|---|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| 1 | <b>სავალუტო რისკი</b> - საქონლის შესყიდვების ძირითადი ნაწილი ხდება უცხოურ ვალუტაში, თუმცა გაყიდვები ხდება ადგილობრივ ვალუტაში. არსებობს პოტენციური ზარალის რისკი ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების გამო. ამ ფაქტის გამო, ასევე ერთ-ერთი გაურკვევლობას წარმოადგენს ფასის კორექტირება. | კომპანია მუდმივად აკონტროლებს გაცვლითი კურსის ტენდენციებს და აფასებს მათ პოტენციურ გავლენას გაყიდული საქონლის ღირებულებაზე და მომგებიანობის ფინანსურ მაჩვენებლებზე.     |
| 2 | <b>პოლიტიკური რისკები</b> - არასტაბილურმა პოლიტიკურმა გარემომ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს პროდუქტზე მოთხოვნის, შემოსავლებისა და მომგებიანობის მაჩვენებლებზე.                                                                                                                      | მენეჯმენტი ყურადღებით აკვირდება პოლიტიკური გარემოს განვითარებას, რათა გააქეთოს პოტენციური განვითარების სწორი პროგნოზი და განახორციელოს საჭირო და ადეკვატური ცვლილებები. |

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 11 აგვისტოს:

ზაზა ნატროშვილი

თამთა კერესელიძე

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

7. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხების დამატებითი განმარტებები

ამ მმართველობის ანგარიშის მომზადების დროს, კომპანია ადასტურებს, რომ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში გამჟღავნებული ყველა მნიშვნელოვანი თანხა სათანადოდ არის აღრიცხული და დადასტურებულია შესაბამისი დოკუმენტაციით. არ გამოვლენილა უჩვეულო ან არარეგულარული ტრანზაქციები, რომლებიც მოითხოვდა ცალკე გამჟღავნებას ფინანსური ანგარიშგების შენიშვნების გარდა.

საჭიროების შემთხვევაში, კონკრეტული ნაშთების (მაგ., მარაგები, მოთხოვნები, ვალდებულებები და რეზერვები) დამატებითი განმარტებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში მოქმედი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად. კომპანია არ მიიჩნევს, რომ ანგარიშგების თარიღის მდგომარეობით არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი აღურიცხავი ვალდებულებები ან პირობითი ვალდებულებები.

8. ორგანიზაციის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობისა და ფულადი ნაკადების რისკებისა და მექანიზმების გადახედვა მათი მართვისათვის

კომპანიის გაყიდვების 70%-ზე მეტი ნაღდი ფულით ხორციელდება. სხვა მომხმარებლებთან კრედიტის ვადა 7-დან 90 დღემდე მერყეობს. არსებობს ხანდაზმული დებიტორული დავალიანების გარკვეული ნაშთები, რომლებიც რეზერვირებულია კომპანიის ხანდაზმული დებიტორული დავალიანების რეზერვის მეთოდოლოგიის შესაბამისად.

მომწოდებლებთან საკრედიტო ვადა 0-დან 45 დღემდე მერყეობს, მაგრამ მომწოდებლების უმეტესობას წინასწარი გადახდებით ხდება ურთიერთობა. საშუალო მარაგების ბრუნვის პერიოდი 2024 და 2023 წლებში შესაბამისად 440 და 255 დღე იყო.

9. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები, საწარმოს მიზანი და პოლიტიკა ფინანსური რისკების მართვის გათვალისწინებით

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

|   | რისკისა და გაურკვევლობის ახსნა                                                                                                                                                                                                                                                      | მენეჯმენტის პასუხი                                                                                                                                                      |
|---|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| 1 | <b>სავალუტო რისკი</b> - საქონლის შესყიდვების ძირითადი ნაწილი ხდება უცხოურ ვალუტაში, თუმცა გაყიდვები ხდება ადგილობრივ ვალუტაში. არსებობს პოტენციური ზარალის რისკი ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების გამო. ამ ფაქტის გამო, ასევე ერთ-ერთი გაურკვევლობას წარმოადგენს ფასის კორექტირება. | კომპანია მუდმივად აკონტროლებს გაცვლითი კურსის ტენდენციებს და აფასებს მათ პოტენციურ გავლენას გაყიდული საქონლის ღირებულებაზე და მომგებიანობის ფინანსურ მაჩვენებლებზე.     |
| 2 | <b>პოლიტიკური რისკები</b> - არასტაბილურმა პოლიტიკურმა გარემომ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს პროდუქტზე მოთხოვნის, შემოსავლებისა და მომგებიანობის მაჩვენებლებზე.                                                                                                                      | მენეჯმენტი ყურადღებით აკვირდება პოლიტიკური გარემოს განვითარებას, რათა გააკეთოს პოტენციური განვითარების სწორი პროგნოზი და განახორციელოს საჭირო და ადეკვატური ცვლილებები. |

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 11 აგვისტოს:

ზაზა ნატროშვილი

დირექტორი



თამთა კერესელიძე

მთავარი ბუღალტერი

თ. ნატროშვილი